ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 2 სექტემბერი 1997 №103 (468) · ფასი 40 თეთრი

# სკანდალი №1: გაგრძელება იქნება

## ფაქტი ფედერაციაზე ჯიუტია

### ვისთვის დრამა, ვისთვის ინფორმაცია

გუშინ, პირველ სექტემბერს, სკოლისა არ იყოს, ფეხბურთის ფედერაციასაც არ მოკლებია სამუშაო — ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა „დინამო" — „მრეტების" გახმაურებულ-გაწელილ საქმეს საბოლოო ვერდიქტი გამოუტანა, მაგრამ, ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, დასრულება ჯერ არ უწერია.

საგანგებო კომიტეტი დათქმულ დროზე შეიკრიბა და სამუშაოდ პრეზიდენტის კაბინეტში განლაგდა. დავა-კამათმა და საქმის გარჩევამ ორი საათი წაიღო. ამის მერე „დინამოსა" და „მრეტების" წარმომადგენლები რომან შოთაძე და ირაკლი ქავთარაძე დროებით გარეთ გამოისტუმრეს, რათა საგანგებო კომიტეტს განაჩენი სიმყუდროვეში გამოეტანა. მერე ორივეს ისევ უხმეს და საბოლოო გადაწყვეტილება გააცნეს, რომელიც დერეფანში დალარაჯებულ ჟურნალისტებს ფედერაციის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა გვამცნო:

— საგანგებო კომიტეტმა საბოლოოდ განიხილა საქმე და დაადგინა: თბილისის „დინამომ" 1998 წლის 20 მაისამდე უნდა დაფაროს დავალიანება. ლაპარაკია 850 ათას დოლარზე. „დინამოს" შეუძლია, თანხა სამ ეტაპად, ნელ-ნელა გადაიხადოს. ამ ხნის მანძილზე ჩვენს ჩემპიონს არავითარი სასჯელი არ ემუქრება და შეუძლია გულმშვიდად მიიღოს მონაწილეობა უეფას თასის გათამაშებაში. მოკლედ, მომავალი წლის 20 მაისისთვის ეს საკითხი ნელ-ნელა მოწესრიგდება.

ფედერაციამ განაჩენი კი გამოიტანა, მაგრამ მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობენ დინამოელები. მათი პირვანდელი განცხადებით ხომ „მრეტებს" თეთრიც არ ეკუთვნოდა. კომენტარისთვის მივმართეთ „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს, რომელმაც შემდეგი მოგვახსენა:

— პრინციპში, ჩვენ საქმის ასე გადაწყვეტას ველოდით და დიდი იმედი არც გვქონია. საგანგებო კომიტეტის სხდომაზე იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბოლოო დადგენილება ჩვენთვის მიუღებელია.

**— რას აპირებს „დინამო"?**

— საფეხბურთო სამყაროში არის უფრო მაღალი ინსტანციები. საკითხის იქ გადატანას და ბრძოლის გაგრძელებას ვაპირებთ. სიმართლე ჩვენს მხარეზეა და არც დავიჩაგრებით.

ერთი სიტყვით, დავას დასასრული არ უჩანს, თუმცა, 20 მაისამდე საკმაო დროა და იქამდე მაინც შეგვიძლია მშვიდად ყოფნა.

საგანგებო კომიტეტზე „ბათუმის" უბედურების ამბავიც უნდა განხილულიყო. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ ასე იყო ნათქვამი, მაგრამ მიუხედავად ჟურნალისტების დიდი მონდომებისა, ვერაფერი გავიგეთ. რატომ? იმიტომ, რომ არავინ არაფერი გვითხრა. ესღა გვამცნეს, „ბათუმზე" მხოლოდ ინფორმაცია გავიდა, საგანგებო კომიტეტს ამ საკითხზე არც უმსჯელიაო. რა ინფორმაციაზეა ლაპარაკი — გუნდი მავანთა დაუდევრობას შეეწირა და რაღა დროს ინფორმაციებია?! დავიჯეროთ, ინფორმაციებს „ბათუმის" სკანდალზე ახლა აგროვებს ფედერაცია?! ჩემი აზრით, „ბათუმის" ამბავი, ჩათვალეთ, ჩაიფარცხა და არც არავინ დაისჯება. რატომო, იკითხავთ. იმიტომ, რომ ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის ხელმძღვანელთ ასე უჯობთ. სხვა რა ვიფიქრო, მითხარით. მიხვალ, იკითხავ, დაგაიმედებენ, როგორ გეკადრებათ, განვიხილავთო და გიწევს უსასრულო ლოდინი. ეს ფაქტია, ფაქტი კი ჩვენს ფედერაციაზე ჯიუტია.

**მამუკა ქვანტალიანი**

# 4 ტური

გურია 1:1 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 4 | 4 | 0 | 0 | 10:4 | 12 |
| ოდიში | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 13:2 | 9 |
| დილა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:5 | 9 |
| ტორპედო | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:5 | 7 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| მორკინალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| მერანი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| მაღაროელი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:13 | 3 |
| გურია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |
| მარგვეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:12 | 1 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |
| სიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | -4 |

# გიორგი ქინქლაძე იტალიასთან ითამაშებს



საბედნიეროდ, ამჯერად „მანჩესტერ სიტის" ექიმების ვარაუდი არ გამართლდა — გიოს მარცხენა ფეხის წვივი, მოტეხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სერიოზულადაც არც დაშავებია. „სიტის" ქართველმა ნახევარმცველმა თავისი გუნდის მხოლოდ ერთი თამაში გამოტოვა „ჩარლტონთან", გუშინ კი ვარჯიშს შეუდგა. როგორც გიომ „სარბიელს" უთხრა, თუ ოთხშაბათის მატჩი ფრენკ კლარკის ყოფილ გუნდთან, პირველი დივიზიონის ახლანდელ ლიდერ „ნოტინგემთან" პრინცესა დაიანას დაღუპვის გამო არ გადაიდო, მაშინ, შესაძლოა, თამაში სწორედ ამ მატჩში განაახლოს. ქინქლაძეს საქართველოს ნაკრებში გამოძახება უკვე მიუღია და შეკრებაზე ჩამოსვლასაც დროულად აპირებს.

# კოპოლა ამტკიცებს: ჩაუწვეთეს!

სადაც დიეგო მარადონაა, იქაა შარი, სკანდალი და რა თქმა უნდა, კოკაინიც. 36 წლის გენიალური ნიჭით დაჯილდოებულმა არგენტინელმა, მოგეხსენებათ, მორიგ აურზაურშიც გაჰყო თავი. ამასწინათ, არგენტინის პირველობის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მას ორგანიზმში ისევ კოკაინი აღმოუჩინეს. დიეგოს ხვალ მორიგი ტესტი ელის და თუ მანაც წინა შედეგი დაადასტურა, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციისგან ერთწლიან დისკვალიფიკაციას უნდა ელოდეს. ახალ შარში გახვეული ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მარადონა ბოლო დღეების განმავლობაში ჟურნალისტებს გაურბის. სამაგიეროდ პრესის წინაშე წარსდგა მისი მენეჯერი და მეგობარი გილერმო კოპოლა, რომელმაც კოკაინის ისტორია ასე ახსნა:

— ეს ძალიან იოლია... სულ ერთი წვეთი უნდა ჩაუგდო ადამიანს წყალში ან რაიმე წვენში.

კოპოლამ განაცხადა, რომ მარადონამ მასთან საუბარში დაიფიცა, კოკაინს არც მივკარებივარო. მენეჯერი ამტკიცებს, რომ რაც ნარკომანობას შეეშვა, დიეგო სხვა კაცი გახდა, გული მშვიდობიანი ცხოვრებისკენ აღარ მიუწევს და ჯანზეც მოვიდა.

ასეთი გახლდათ გილერმო კოპოლას განცხადება, კაცისა, რომელიც ერთი ხნის წინ ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო ეჭვმიტანილი. მაშინ დიეგო ამტკიცებდა მის უდანაშაულობას.

შეგახსენებთ, რომ მარადონა უკვე ორჯერ იყო კოკაინის გამო ფეხბურთიდან 15 თვით მოკვეთილი, 1991 წელს იტალიაში, კერძოდ, „ნაპოლიში" რომ თამაშობდა და 1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს რომ ამხილეს.

მარადონას ბიოგრაფიის სხვა ამბებს მესამე გვერდზე გავიხსენებთ.



დიეგო მარადონა

# მოზირს ანადგურებენ!

გუშინ ბელარუსის ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები შედგა, თუმცა ამ ქვეყნის საფეხბურთო წრეებს ამისთვის ნაღდად ნაკლებად სცხელოდათ. საქმე ისაა, რომ 4 სექტემბერს ბელარუსის ნაკრები გლაზგოს მიემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გასამართად, მაგრამ არავინ იცის, როდის შედგება ეს შეხვედრა. შაბათს პრინცესა დაიანას დაკრძალვის დღეა და, ცხადია, სათამაშოდ არავის სცალია, უფრო სწორად, სცალიათ, მაგრამ არ ეთამაშებათ. ამიტომაც სქოთებმა ბელარუსებს სთხოვეს, 7-ში ვითამაშოთო, მაგრამ ამათ — 10-ში ავსტრიას ვხვდებით და ორი დღე აღსადგენად არ გვეყოფაო. ახლა შოტლანდიელები ავსტრიელებს ურიგდებიან, თუმცა წუხელ ამათი მოლაპარაკების შედეგი ცნობილი არ იყო.

სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რა ბედოვლათი გუნდი ერგო მეტოქედ ჩვენს „დინამოს". გუშინ მოზირის მპკ მინსკის „ტორპედოს" ესტუმრა და საშინლად — 0:5 წააგო. მატჩი მინსკის სტადიონის რეკონსტრუქციის გამო დედაქალაქის შემოგარენში, ლიუბანში ჩატარდა, თუმცა სტუმრებს არა ეშველათ რა. არ გეგონოთ, უბრალო მატჩი იყო ან მოზირელები თავდაჯერებამ შეიწირა. პირიქით — თავის დროზე მოზირელთა გამჩემპიონებელი, მერე კი ბუბნოვის ინტრიგების წყალობით გუნდიდან გაგდებული ანატოლი იურევიჩი ახლა სწორედ მინსკის „ტორპედოს" წვრთნის და ადვილი მისახვედრია, რა გრძნობა ამოძრავებდა გუშინ. საწადელსაც მიაღწია და თან პირველ წრეში მოზირში 1:6 დამარცხებისთვის სრულფასოვანი რევანშიც აიღო.

დინამოელთა მეტოქე ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით შერცხვა: გაევი, ლუკაშევიჩი, სისოევი (ვავილოვი), აპანასი (კუკარი), პოლიაკოვი (ესაიაშვილი), ლოვჩევი, მალეევი, დენისიუკი, ბერიშვილი, გოროვოი, კუშნირი.

ხვალიდან მოზირელთა ოთხი ფეხბურთელი ბელარუსის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად შოტლანდიისწინა შეკრებაზე გადადის. ესენია მეკარე ვლადიმირ გაევი, ნახევარმცველი დმიტრი დენისიუკი და მცველები — ანდრეი ლუკაშევიჩი და სერგეი პოლიაკოვი. ეროვნული გუნდის განაცხადში მოზირელთა გვარების ძიება ამაოა.

**გიგა ქოგახიძე**

**წუხელ**

ფეხბურთი. ბუნდესლიგა. მიუნხენი — არმინია 1:0 (ცინკლერი 68). პრემიერლიგა. ბოლტონი — ევერტონი 0:0

# მიულოცეთ ბატუტისტებს! არ მიულოცოთ ტერორისტებს!

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ტანვარჯიშის სახეობათა შორის ბატუტზე ხტომაც შევა. ოლიმპიადაზე, ალბათ, იასპარეზებენ წყალბურთელი ქალები და გამოვლენ სლალომისტი ნიჩბოსნები. სოკ-ის გენერალური დირექტორის, ფრანსუა კარარმას თქმით, კომიტეტი ქალთა წყალბურთის ოლიმპიურ სახეობებში შეტანის მომხრეა, მაგრამ ეს საკითხი საწყლოსნო სახეობების საერთაშორისო ორგანიზაცია — FINA-სთან უნდა შეათანხმოს. საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მიიღებენ, რომელიც იანვარში პერტში ჩატარდება. მონაწილეთა რიცხვი, სავარაუდოდ, ექვსი იქნება. რაც შეეხება სანიჩბოსნო სლალომს, აქ ავსტრალიელებისთვის მთავარი პრობლემა ახალი ტრასის მოწყობაა.

სიდნეის ოლიმპიადამდე სამი წელიწადია დარჩენილი, 2004 წლის ოლიმპიური დედაქალაქის დასახელებამდე კი სამი დღე. პარასკევს ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ხუთი კანდიდატიდან (რომი, სტოკჰოლმი, ათენი, ბუენოს-აირესი, კეიპტაუნი) ერთს აარჩევს. სწორედ ამ ერთი ადგილისთვის მიმდინარეობს უშელავათო ბრძოლა, რომლის ამბავსაც მე-6 გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი „რეიტერის" მიერ წუხელ გავრცელებულ ინფორმაციას გაგაცნობთ.

კვირას, ათენში, ოლიმპიური კომიტეტის შენობასთან ბომბი აფეთქდა. IOC ამ ინციდენტს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. მისმა ვიცე-პრეზიდენტმა მარკ ჰოდლერმა ათენსა და ერთი ხნის წინ სტოკჰოლმში განხორციელებული ტერორისტული აქციების მომწყობთ „გიჟი ბოროტმოქმედები" უწოდა და განაცხადა, რომ მათი ქმედებანი სასტიკად უნდა დაიგმოს. ჰოდლერმა საზოგადოებას ამცნო, რომ IOC გამოიძიებს ხუთივე კანდიდატის მიერ გამართული კამპანიის მიმდინარეობასა და ნიუანსებს, რათა ბოლო მოეღოს ათასგვარ მითქმა-მოთქმას. მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელები ალუშფოთებია ჭორებს, თითქოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი წარმომადგენელნი კანდიდატი ქალაქებისგან ქრთამს იღებენ და ტერორიზმის წამქეზებლებიც, შესაძლოა, სწორედ ისინი არიან. ვითომდა ბომბების აფეთქებით IOC-ის მოსყიდული დიდმოხელეები კონკურენტებს სახელს უტეხავენ, რითაც მათი მომქრთამავი ქალაქის პოზიციებს ამაგრებენ. მიუხედავად ამისა, პარასკევამდე გამოცანად დარჩება, როგორ იმოქმედებს ლოზანაში დანიშნული IOC-ის კონგრესის დელეგატებზე სტოკჰოლმისა და ათენის ამბები. შესაძლოა, ტერორიზმმა მათზე სწორედ ისე იმოქმედოს, როგორც ბოროტმოქმედებს ჰქონდათ ჩაფიქრებული — შეეშინდეთ და „აფეთქებულ ქალაქებს" ხმა აღარ მისცენ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ დელეგატებმა ამფეთქებელთა ჯინაზე სტოკჰოლმს ან ათენს დაუჭირონ მხარი.

დავიცადოთ პარასკევამდე.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნემსაძე ციურიხს გაუშინაურდა



გია ნემსაძე „გრასჰოპერს“ გაუშინაურდა — ციურიხელთა მთავარმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა შემადგენლობაში ადგილი ანდო და ქართველიც ნელ-ნელა ათამაშდა. წინა ტურში მაჩაწჩალა „კარუჟთან“ გატანილ გოლს ახლა მეორეც, მეტად მნიშვნელოვანიც დაამატა და კალიებმა შინ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ლოზანა“ გაანადგურეს — 5:1, რაშიც ნემსაძეს დიდი წვლილი შეუტანია. თუმცა, ჯობს თავად მოვუსმინოთ.

— გროსი ვარჯიშებზე სტანდარტული მდგომარეობების, ჯარიმებისა და კუთხურების შესრულებაზე საგანგებოდ გვავარჯიშებს. თამაშის დროსაც ეს მე მევალება. „ლოზანასთან“ ორი გოლი — პირველი და მეოთხე, სწორედ ჩემი ჩამოწოდებული კუთხურების შემდეგ გავიდა. დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, თავდაპირველად ვაგებდით კიდეც. მიხარია, რომ გოლიც გავიტანე. მართალია, თავის გამოჩენა წინა ტურში უკვე მოვახერხე, მაგრამ ახლანდელს სხვა ფასი ჰქონდა. „ლოზანა“ შეხვედრამდე მეორე იყო, ახლა მესამეზე ჩამოვაქვეითეთ.

**— გოლი როგორ გაიტანე?**

— ბურთი მოედნის ცენტრის სიახლოვეს მივიღე, ორი მეტოქე მოვატყუე და საჯარიმო რკალს რომ მივუახლოვდი, მარცხენა ფეხით დავარტყი. ტრაბახში არ ჩამითვალო და მართლა ლამაზი გოლი იყო — ბურთი შორეულ ცხრიანში ჩაეშვა.

**— ყაველაშვილი მხოლოდ მეორე ტაიმში რატომ ათამაშეს?**

— ხომ გითხარი, პირველ ტაიმს ვაგებდით, გაგვიჭირდა და გროსმა თავდასხმა გააძლიერა, მოედანზე მიშა შემოიყვანა და ჩვენც გამოვცოცხლდით. ყაველამ კარგად ითამაშა, ბევრს მოძრაობდა და ერთი გოლიც მისი პასით გავიდა. მოკლედ, თამაშში წარმატებით ჩაერთო.

**— თურქილმაზი შემადგენლობაში არ ჩანს.**

— შვეიცარიის ნაკრები სლოვაკებს სტუმრად ამხანაგურად რომ უნდა შეხვედროდა, თურქილმაზი შეკრებაზე გამოიძახეს და ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა. მას შემდეგ ვერ თამაშობს.

**— გატანილი გოლები იმაზე უნდა მეტყველებდნენ, რომ გუნდს კარგად შეეწყვე—**

— ბუნებრივიც არის, სანამ უცხო გუნდს გაიცნობ, ვარჯიშებსა და მწვრთნელის სტილს ალღოს აუღებ, ცოტა დრო არ გჭირდება. მადლობა ღმერთს, ეს დროულად შევძელი.

**მერაბ მამულაშვილი**

# ნაცნობი სცენარით

**ლანჩხუთი**
**„ევგრაფი შევარდნაძე“**
**1 სექტემბერი**

**გურია 1:1 ბათუმი**

**გურია:** გოგუა, ლურწკაია, კვეკვესკირი, კუკულაძე, გვარჯალაძე (ჯაშიაშვილი 74), თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ჩხეტია (ლორია 85), ბერიძე, ბულუხია (ქელიძე 76)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიქინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, ყულეჯიშვილი (აფხაზავა 46), ჩუხუა, კანტიძე (მაქაცარია 56)
1:0 ქიქავა (3), 1:1 აფხაზავა (66)
**გაფრთხილებები:** კვეკვესკირი, ქიქავა, ჩუხუა
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**იუზა კაციტაძე ლანჩხუთიდან**

კალენდარმა სასტარტო ტურებში ისეთი მეტოქეები არგუნა „გურიას“, თავიდანვე ცხადი იყო, ლანჩხუთელები ქულებს იოლად ვერ მიითვლიდნენ. განა ხუმრობა საქმეა, გურულებს მიყოლებით გასული გათამაშების პირველი ექვსეულის ხუთ წარმომადგენელთან უწევთ შებრძოლება. წინა სამ მატჩში მხოლოდ ქულა ჩაიწერა და, ერთი შეხედვით, არც მორიგ შეხვედრაში უნდა ჰქონოდა „გამდიდრების“ იმედი. მისი მეტოქე ხომ ერევნის „არარატის“ ორჯერ მძლეველი და თასების თასიდან მაინც გამოვარდნილი „ბათუმი“ იყო. მატჩის წინ თამაშის ოქმს რომ ავსებდნენ, „გურიას“ ტექნიკურმა დირექტორმა გულსუნდა დუნდუამ ბათუმელთა მწვრთნელს იური მამინაშვილს გადაჰკრა: ძმა, კარგად გადახედე შემადგენლობას, სამგაფრთხილებიანი არავინ გყავდესო... ნეტა ეს რჩევა ბათუმელთათვის „არარატთან“ პირველი თამაშის წინ მიეცათ...

დებიუტი მასპინძელთა შეტევებით აღინიშნა და ანგარიშიც მალე გაიხსნა. გვარჯალაძემ მარჯვნიდან კუთხური ჩააწოდა, ბურთი ბათუმელთა შუაგულ საჯარიმოში დაეშვა. ტოგონიძე კარიდან არ გამოსულა, მცველებმაც დაუდევრობა გამოიჩინეს და ამით კარგად ისარგებლა ლანჩხუთელთა კაპიტანმა ქიქავამ, წინ გაიყვანა თავისიანები. დაახლოებით ნახევარ საათს უპირატესობას ისევ მასპინძლები ფლობდნენ. ბათუმელთა მცველებს სხვებზე მეტად ბერიძე უჩენდა თავსატეხს. 29-ე წუთზე მას ანგარიშის გაორების ჩინებული შესაძლებლობა ჰქონდა — ჩხეტიამ კარგად გაუჭრა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბერიძემ დარტყმა ველარ მოახერხა. სტუმრებმა მხოლოდ ამ ეპიზოდის შემდეგ გამოილეს ხელი და ინიციატივასაც დაეუფლნენ. 35-ე წუთზე სიჭინავას გადაცემის შემდეგ ჩუხუამ გურულთა საჯარიმოს წინა ხაზიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს შეასკდა. ხუთიოდე წუთში ლანჩხუთელები კიდევ ერთხელ გადაურჩნენ გოლს. კანტიძის საჯარიმო გოგუამ უხერხულად მოიგერია, გადმოვარდნილს ყულეჯიშვილმა დაამატა, მაგრამ ბოლო წამს ბურთს განევი გადაელობა.

პირველ ტაიმში თამაში ასე თუ ისე თანაბარი იყო. ოცწუთიანი შესვენების შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. 50-ე წუთზე ლურწკაიამ კიდევ ერთხელ შეუტია სტუმართა კარს, დანარჩენ დროში მოედანზე ბათუმელი ფეხბურთელები ბატონობდნენ. მათი უპირატესობა ალარავითარ ეჭვს არ იწვევდა. შეცვლაზე შესულმა ბათუმელებმა მართლაც რომ გამოაცოცხლეს თამაში. აფხაზავამ გაიტანა კიდეც. თორლაშვილისგან მიღებული ოსტატურად დაამუშავა და ცბიერად დაარტყა. გოგუას საერთოდ არ მოუხდენია რეაგირება. ამის შემდეგ სტუმრებს დაწინაურების უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ. რომც გვინდოდეს, ყველას, ალბათ, ვერც ჩამოვთვლით, მაგრამ ორს მაინც გამოვყოფთ. 69-ე წუთზე მალხაზ მახარაძის თაური ცარიელი კარიდან თაურითვე მოიგერია კვეკვესკირმა. მე-80 წუთზე კი ჩუხუა ობლად დარჩენილმა გოგუამ არ აზეირა, არადა, ბათუმელთა ფორვარდს გატანის ნაღდი შანსი მიეცა.

ამ თამაშმა „გურიასა“ და „ტორპედოს“ ორიკვირისწინანდელი მატჩი გამახსენა. ისინი წყლის წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და რა გასაკვირია, თუ ერთნაირი ანგარიშითაც დასრულდა.

# ჯამარაული ფიფას იმედად დარჩა

„ტრაბზონის“ თავკაცები და გოჩა ჯამარაული ერთმანეთთან მწყრალად რომ არიან, არ ახალია. მას შემდეგ, რაც თურქულ გუნდში გადავიდა, გოჩამ ძირითადში მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი შეხვედრები ითამაშა. ბოლო დროს კი საქმეები მთლად აერია, მწვრთნელი კვლავაც არ წყალობს და თავადაც „ტრაბზონში“ გაჩერების სურვილი, ბუნებრივია, არ გააჩნია. მაგრამ საქმე ისაა, რომ თურქები ქართველის განთავისუფლების სანაცვლოდ ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვენ, რომლის გადამხდელიც ჯერ არ ჩანს. ამის გამო შეიკავა თავი ჯამარაულის აყვანაზე „გრასჰოპერმა“ და ახლა ჰაერში გამოკიდებული ჯამარაული ხან „დინამოსთან“, ხანაც ცალკე ვარჯიშობს უკეთესი მომავლის იმედად. ისე, სულ უიმედოდაც არ არის. ფიფას წესებით, ფეხბურთელს, ვისაც გუნდი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არ უსრულებს, უფლება აქვს, კონტრაქტი გაწყვიტოს და თავისუფალი აგენტი გახდეს. სწორედ ამგვარად განთავისუფლდა ზაზა ზირაქიშვილი პორტუგალიური „ფარენსესგან“, სადაც სამი თვე ხელფასს ვერ იღებდა. გოჩა ჯამარაულს კი ხუთი თვეა, თურქებისგან ცენტიც არ მიუღია. ამ ყოველივეს ისიც დაერთო, რომ იტალიასთან შეხვედრისწინა შეკრებისთვის ჯამარაული ნაკრებშიც აღარ გამოიძახეს. მოკლედ, შარშანდელი შემოდგომის ქართული ფეხბურთის გმირს ახლა მძიმე ჟამი დასდგომია.

# რა დროს ირანიაო

## ფედერაციამ ტორპედოს უარი სტკიცა

ქუთაისის „ტორპედომ“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „დინამოსთან“ ზეგინდელი მატჩის გადადება თხოვა. მიზეზი ირანული თავრიზის ტურნირიდან მიღებული მიწვევა ყოფილა, სადაც „ტორპედო“ შარშანაც იყო. ფედერაციამ ქუთაისელთა თხოვნა არ დააკმაყოფილა, რაც სანაკრებო დინამოელთა სათამაშო პრაქტიკის დეფიციტით ახსნა. სიმართლე რომ ვთქვათ, „ტორპედოს“ ჩემპიონთან მატჩის გადადება დიდადაც აწყობდა, რადგან სრული დაკომპლექტება ახლახანსლა დაამთავრა, რაკი რუსეთიდან მობრუნებული გამთამაშებელი დავით ნოზაძე შეიმატა. ამას ისიც ერთვის, რომ ტორპედოელთა ფორვარდს მეტრეველს მენისკის ოპერაცია ემუქრება და ქუთათურები „დინამოსთან“ ბრძოლის წინ საკადრის ფორმაში ვერ არიან.


**სარეკლამო სააგენტო**
**კოკი და კომპანია**
**რეკლამის დამზადება**
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
**კომპიუტერული მომსახურება**
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
**25% ფასდაკლებით!!!**
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
**ტელ. 95 96 56**


**გორი**
**ცენტრალური**
**31 აგვისტო**

**დილა 1:0 მარგვეთი**

**დილა:** ილურიძე, ხ. გაგნიძე, აკოფიანი, თარხნიშვილი, ნკრიალაშვილი (ტაბატაძე 72), ჩიტაია (მინდიაშვილი 55), მარეხაშვილი, ჯ. გაგნიძე, მარლიშვილი, ციცქიშვილი, შატაკიშვილი (ჩალაძე 74)
**მარგვეთი:** ნიჟაბერიძე, ბიწაძე, მორალიშვილი (კაკაბაძე 76), მოსიკაშვილი, ფოფხაძე (მალალურიძე 77), კაციაშვილი, სულაკაძე, მელუა, ზაქარეიშვილი, ტოკლიკიშვილი (ფოცხვერაშვილი 46), ხეტეშვილი
1:0 ციცქიშვილი (63)
**მსაჯი:** შ. ხანიაშვილი (თბილისი)

# 4 ტური

**მოგონება**

**დინამო 4:0 მერანი**

დიდი ხანია, დინამოელებს ჯონი ჯანელიძის გუნდების მიმართ კომპლექსი ჩამოუყალიბდათ. მათი წარუმატებლობა ჩემპიონატის პირველი მატჩიდან იღებს სათავეს, როცა ჯანელიძის „კოლხეთმა“ თბილისში 1:0 მოუგო „დინამოს“. ხუმრობდნენ, „დინამოს“ მწვრთნელი ჯანელიძე რომ იყოს, ჯანელიძისვე გუნდთან მოგება მასაც გაუჭირდებაო. გუშინწინ „დინამომ“ ეჭვები გაფანტა და „მერანს“ პირველად აგემა ჩემპიონატში ოთხბურთიანი სხვაობით 34 მატჩის მანძილზე, პირველ ჯგუფში რომ ჩაუტარებია.

**სკანდალი**



**მაღაროელი 2:3 თსუ**

სკანდალის მონაწილის ესტაფეტა თსუ-ს „სიონისგან“ გადაეცა. თბილისელთა თამაშისას მეტოქის მსაჯით უკმაყოფილება უცხო როდია. მით უმეტეს, თუ სტუდენტებს თამაზ ლეცაბიძე სჯის. ასე იყო „ტორპედოსთან“, „სამტრედიასთან“ და ახლა „მაღაროელთან“. ლაცაბიძე თბილისელთა მატჩის დასასრულს სკოლის ფხიზელი დარაჯივით იქცევინება — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად 45 წუთი. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ჭიათურელებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, მაგრამ ლაცაბიძემ შეჩერებებზე გახარჯული მინიმუმ სამი წუთი არ დაამატა. ამაზე მასპინძლები შეედავნენ, თუმცა, ვერას გამორჩნენ.

**მოულოდნელობა**

**მორკინალი 0:1 ოდიში**

დებიუტანტს მშვენიერი სტარტი ჰქონდა: არც ერთი წაგება და შარშანდელ ლიდერთათვის წართმეული 2 ქულა: მიტომაც „ოდიშთან“ მათ უნიათო თამაშს არავინ ელოდა. „მორკინალმა“ მაინც კარგა ხანს გაძლო, მაგრამ მატჩის მიწურულს წატაიშვილის პრიმაგოლით წააგო.

**გმირი**

**კობა წიტაიშვილი**

„შევარდენის“ სტადიონი ჩემპიონატის ულამაზეს გოლთა სავანეა. აქ გავიდა ლევან ყიფიანის გოლი, ზაზა ჯანაშიას მაკრატელა და ახლა კობა წიტაიშვილის აბრაგანი. ვინც პარასკევს გატანილი გოლი ვერ იხილა, ბევრი წააგო. „მორკინალი“ — „ოდიშის“ თამაშიცა და მთელი ტურიც ამ გოლის ნახვად ღირდა.



**ანტიგმირი**

**ოთარ გუნთაძე**

ლანჩხუთელთა არბიტრმა მეოთხე ტურის ორი მატჩი იმსაჯა. შაბათს ვაკეში არ გასჭირვებია, მაგრამ გუშინწინ ეროვნულზე ზედმეტი ლოიალობა გამოიჩინა: ფეხბურთელთა მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა იატანა და ამით უპატივცემულობა დაიმსახურა, თამაშის სადავეები მიუშვა. ბედად მატჩი მშვიდობიანად მორჩა. იქნებ გუნთაძეს ეს ერჩია.

# ნინ, ქალბატონებო, ფეხბურთი უფრო გალამაზდება

**მეორე ჯგუფი**

ადრე ვწერდით, მეორე ჯგუფში აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების გაერთიანება სასიკეთოს ვერაფერს მოიტანსო. აგერ, ხუთი ტური მიილია, მაგრამ გათამაშებას უკუსვლის არაფერი ეტყობა და ჯერჯერობით ყველა გუნდი ახერხებს თამაშებზე უპრობლემოდ ჩასვლას. ღმერთმა ქნას, ასეც გაგრძელდეს, თუმცა, ხუთი ტურიც საკმარისი აღმოჩნდა გუნდების დიფერენციაციის დასამთავრებლად. უკვე გამოიკვეთნენ წელგამართულნი, საპრიზო ადგილებისთვის მოპაექრენი. ამაში ყველაფერთან ერთად ფინანსურ სიკეთესაც ვგულისხმობთ, თორემ მეორე ჯგუფში ისეთი გუნდებიც მრავლადაა, თამაშიდან თამაშამდე თავი გაჭირვებით რომ გააქვთ. ამათ მაჩანჩალობა, უკეთეს შემთხვევაში სატურნირო ცხრილში არაფრისმომცემ ადგილზე დამკვიდრება მოელით. როგორც ყველგან და ყველაფერში, ფეხბურთშიც ასეა, ყველა ლიდერი ვერ იქნება. ეს დაუწერელი კანონია.

მეხუთე ტურის დიდი მოულოდნელობა „ცხინვალის“ საშინაო მარცხი გახლდათ. ცხინვალელებმა პირველი ჯგუფიდან დაქვეითებულ „ივერიას“ ვერაფერი მოუხერხეს და შინ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. დანარჩენი თამაშები ისე მორჩა, როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ.

მეორე ჯგუფში ერთი საკვირველი ფაქტიც მოხდა — სამტრედიულ კლუბში, რომელიც ახლა „ჯუბას“ სახელით ირჯება, ვიცე-პრეზიდენტად ქალბატონი დაინიშნა — მარინა სტეფანია. ახლა ჩვენში ქალთა ფეხბურთის ბუმია. ქალთა ნაკრები მალე ევროპულ სარბიელსაც გაუსინჯავს გემოს, მაგრამ აქამდე არც ერთი კლუბის ხელმძღვანელობაში ქალბატონები არ გარეულან. იმედია, აწი მომრავლდებიან. რატომაც არა, ვცადოთ, იქნებ, საქმეს სასიკეთოდ წაადგეს, მით უმეტეს, რომ სამტრედიელები ისევ პირველ ჯგუფში დაბრუნებას და შელახული პრესტიჟის აღდგენას ლამობენ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**მამუკა ძგანტალიანი**

**V ტური**

მეშახტე — სამეგრელო 3:0, ცხინვალი — ივერია 1:5, მერცხალი — ჯუბა 2:2, ასკ — კოდაკო 6:0, სქური — იმერეთი 4:2, აკადემია — იბერია 4:1, კოლხეთი — ფაზისი 5:2, საპოვნელა — თორი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 5 | 5 | 0 | 0 | 21:8 | 15 |
| ასკ | 5 | 4 | 1 | 0 | 18:2 | 13 |
| მერცხალი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:6 | 13 |
| ჯუბა | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| ივერია | 5 | 4 | 0 | 1 | 17:5 | 12 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:9 | 10 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:8 | 9 |
| სქური | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| თორი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 7 |
| სამეგრელო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| მეშახტე | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 |
| იბერია | 5 | 1 | 0 | 4 | 5:15 | 3 |
| კოდაკო | 5 | 1 | 0 | 4 | 2:13 | 3 |
| ფაზისი | 5 | 0 | 0 | 5 | 7:17 | 0 |
| იმერეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:16 | 0 |
| საპოვნელა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |

# დამთავრდა!



ზოგისთვის ეს ტრაგედიაა, ზოგს კი ეს ამბავი, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია აპირებს, კოკაინის მიღებაში მერამდენედ მხილებული მარადონა ხუთი წლით ჩამოაშოროს ფეხბურთს. ეს იგივეა, ზოგიერთ ქვეყანაში დამნაშავეს ორი სამუდამო პატიმრობით რომ სჯიან.

მარადონა დამთავრდა. სულაც რომ შეიწყალონ და აპატიონ, მაინც. რამდენადაც უდიდესი ფეხბურთელი იყო, იმდენად უდიდესი უგუნური კაცი გამოდგა. კარგით, იტალიელებმა ჩაუწყეს, აველანჟმა თავად მოშარდა დიეგოს კუთვნილ კოლბაში, მაგრამ თანამემამულეები რაღას ერჩიან? გაირკვა, რომ მარადონას არავინ არაფერს ერჩის მარადონას გარდა. ან კოკაინით უნდა იკაიფო, ან ფეხბურთით.

და მაინც, სამწუხაროა, რომ მარადონა დამთავრდა.

### მარადონას ბიოგრაფია

1960: დაიბადა 30 ოქტომბერს ბუენოს აირესში. მუშის რვაშვილიან ოჯახში მეხუთე იყო.

1976: ქვეყნის ჩემპიონატში მისი დებიუტი 16 წლის შესრულებამდე ათი დღით ადრე შედგა „არგენტინოს ხუნიორსის" შემადგენლობაში.

1977: პირველად ითამაშა ნაკრებში.

1978: მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიჰყავს ნაკრების მწვრთნელს სეხარ ლუის მენოტის. მიზეზი — ნამეტანი ახალგაზრდაა.

1979: არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები მისი კაპიტნობით 20 წლამდე ფეხბურთელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ხდება.

1981: „ბოკა ხუნიორსთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონია.

1982: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „ბარსელონაში" გადადის.

1984: გადავიდა „ნაპოლიში".

1986: მსოფლიოს ჩემპიონი ხდება და თან მეოთხედფინალში ინგლისთან ორი უცნობილესი გოლი გააქვს: ერთი — ხუთი ბრიტანელის მოტყუების შემდეგ, ერთიც — „ღმერთის ხელით".

1987: „ნაპოლის" პირველი სკუდეტო მოაგებინა.

1989: „ნაპოლისთან" ერთად იგებს უეფას თასს.

1990: „ნაპოლისთან" ერთად მეორედ ხდება იტალიის ჩემპიონი. მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინა ფინალში მარცხდება.

1991: მხილებულია ნარკოტიკების მიღებაში. 15 თვით კვეთენ ფეხბურთიდან, ხოლო არგენტინაში ჩასულს საავადმყოფოში წამლობენ.

1992: უარს ამბობს „ნაპოლიში" დაბრუნებაზე. გადადის „სევილიაში".

1993: ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრისას არგენტინის ნაკრებს კაპიტნად უბრუნდება. „სევილიიდან" სამშობლოში, „ნიუელს ოლდ ბოიზში" გადადის.

1994: ვარჯიშების გაცდენის გამო კლუბიდან აგდებენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ეფედრინის მიღება დაუდგინეს და თამაში 15 თვით აუკრძალეს.

1995: უშედეგოდ წვრთნის არგენტინულ „რასინგს" და „დეპორტივო ესპანიოლს". თამაშს იწყებს „ბოკა ხუნიორსში". ამბობს, რომ ნარკოტიკები მისი ცხოვრების შავბნელი წარსულია.

1996: შვეიცარიის ერთ-ერთ კლინიკაში ნარკოტიკების საწინააღმდეგო სარეაბილიტაციო კურსს გადის.

1997: მესამედ ჩავარდა შემოწმებაზე. ამჯერადაც კოკაინი. სავარაუდო სასჯელი — ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია.

# დრონი მეფობენ

1994 წლის 24 აპრილს პრაღის „დუკლამ" „ჰრადეც კრალოვე" დაამარცხა 1:0. დაახლოებით ერთ თვეში ოდესღაც ჩეხოსლოვაკური ფეხბურთის ფლაგმანი ლიგიდან გავარდა. ის მოგება სეზონში ჩატარებულ 30 შეხვედრაში ერთადერთი იყო.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ 1938 წელს დაარსებული „დუკლა" მუდამ უმაღლესთა შორის ადგილის შენარჩუნების მცდელობაში იყო. მიზანს ხან აღწევდა, ხან — ვერა. 1993-94 წლების სეზონის დასასრულს „დუკლას" მზე, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, სამი წლით ჩაესვენა. არადა, 1967 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტმა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში 11-ჯერ იმარჯვა, 8-ჯერ თასი მოიგო, მოკლედ, წარმატებები ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ შემდგომ თავდაცვის სამინისტროში ფეხბურთისადმი ინტერესმა იკლო და გუნდსაც მძიმე დღეები დაუდგა, რაც ბოლო ათწლეულის დასაწყისშიც გაგრძელდა.

შარშანწინ საკმაოდ მძლავრმა კერძო საწარმო „ბოხუმილ დურიჩკომ" იტვირთა კლუბის შენახვა და გაუმართლა კიდეც — მეორე დივიზიონში ჩაქვეითებულ „დუკლას" პროგრესი აშკარად დაეტყო და გუნდიც მალე ჩეხური ფეხბურთის ლიდერთა შორის აღმოჩნდა.

წლევანდელ ჩემპიონატში „დუკლამ" პირველი სამი ტური წააგო, მაგრამ მეოთხე იღბლიანი გამოდგა — პლზენის „ვიქტორია" 2:0 სძლია და სამწლინახევრიანი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, უმაღლესში ლიგაში კვლავ იმარჯვა.

## დანია

დანია. მე-6 ტური: აბ კოპენჰაგენი — ფკ კოპენჰაგენი 1:1, ბრონდბიუ — სილკებორგი 1:2, იკასტი — ჰერფოლგე 4:1, ლუნგბიუ — ოდენსე 1:0, ვაილე — ფრიმადი 4:2, ორჰუსი — ოლბორგი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:8 | 14 |
| სილკებორგი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 14 |
| ბრონდბიუ | 6 | 4 | 0 | 2 | 19:10 | 12 |
| აბ | 6 | 3 | 3 | 0 | 14:8 | 12 |
| ლუნგბიუ | 6 | 3 | 1 | 2 | 14:18 | 10 |
| ვაილე | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 9 |
| იკასტი | 6 | 3 | 0 | 3 | 12:14 | 9 |
| ოლბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:9 | 8 |
| ორჰუსი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:11 | 6 |
| ჰერფოლგე | 6 | 1 | 1 | 4 | 6:16 | 4 |
| ფრიმადი | 6 | 1 | 0 | 5 | 11:17 | 3 |
| ოდენსე | 6 | 0 | 1 | 5 | 4:11 | 1 |

## ნორვეგია

21-ე ტური: ვიკინგი — ლილესტრიომი 0:1, ბრანი — ტრომსო 4:3, მოლდე — კონგსვინგერი 0:1, სკეიდი — სოგნდალი 1:3, სტრომსგოდსეტი — ლინი 6:1, ბოდო გლიმტი — ჰაუგესუნდი 1:1, როზენბორგი — სტაბეკი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 21 | 15 | 5 | 1 | 70:14 | 50 |
| სტაბეკი | 21 | 12 | 3 | 6 | 28:27 | 39 |
| სტრომსგოდ. | 21 | 12 | 2 | 7 | 50:35 | 38 |
| მოლდე | 21 | 11 | 5 | 5 | 35:28 | 38 |
| ბრანი | 21 | 10 | 5 | 6 | 40:29 | 35 |
| ბოდო გლიმტი | 21 | 9 | 4 | 8 | 31:26 | 31 |
| ვიკინგი | 21 | 7 | 8 | 6 | 34:25 | 29 |
| კონგსვინგერი | 21 | 8 | 5 | 8 | 29:37 | 29 |
| ტრომსო | 21 | 6 | 9 | 6 | 34:32 | 27 |
| ლილესტრიომი | 21 | 7 | 5 | 9 | 28:36 | 26 |
| ჰაუგესუნდი | 21 | 6 | 4 | 11 | 22:33 | 22 |
| სოგნდალი | 21 | 5 | 4 | 12 | 25:48 | 19 |
| სკეიდი | 21 | 3 | 4 | 14 | 26:55 | 13 |
| ლინი | 21 | 2 | 5 | 14 | 21:48 | 11 |

## იტალია

### I ტური

### ინტერი 2:1 ბრეშია

ინტერი: პალიუკა, სარტორი, ბერგომი, გალანტე, მორიერო, სიმეონე, ვინტერი (კუე 77), ძანეტი, ჯორკაეფი (ბერტი 93), რონალდო, განცი (რეკობა 70)

ბრეშია: ჩერვონე, ე. ფილიპინი, ადანი, დიანა, სავინო, კოზმინსკი, ა. ფილიპინი, დე პაოლა (ბაკი 55), ბანინი (დონი 82), ბონაძოლი (პირლო 52), ჰუბნერი

0:1 ჰუბნერი (71), 1:1, 2:1 რეკობა (76, 86)

გაფრთხილება: გალანტე, მორიერო, ჯორკაეფი, ა. ფილიპინი

### ლაციო 2:0 ნაპოლი

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ლოპესი, ფავალი, ფუზერი, ალმეიდა, იუგოვიჩი, მანჩინი (ნედვედი 83), ბოკშიჩი (რამბაუდი 88), სინიორი (კაზირაგი 46)

ნაპოლი: ტალიალატელა, კრასონი, ბალდინი, აიალა, ფრუნიე (სბრიძო 46), სერჯო, გორეტი (სკარლატო 73), როსიტო, ლონგო, პროტი, ბელუჩი (ესპოზიტო 88)

1:0 მანჩინი (67), 2:0 პანკარო (75)

95-ე წუთზე კაზირაგიმ პენალტი ვერ გაიტანა

გაფრთხილება: ლოპესი, ალმეიდა, აიალა, პროტი

### პიაჩენცა 1:1 მილანი

პიაჩენცა: სერენი, პოლონია, დელი კარი, მ. როსი (პიოვანელი 46), ტრამეძანი (მ. კონტე 73), ბორდინი, სკიენცა, მაცოლა, სტროპა, მურჯიტა (რასტელი 76), პიოვანი

მილანი: ტაიბი, მალდინი, კოსტაკურტა, კრუზი, ციგე, ბა (ბლომკვისტი 70), დესაი, ალბერტინი (მაინი 70), ბობანი (დევიდსი 78),ვეა, კლუივერტი

0:1, 1:1 დელი კარი (29 საკ. კარში, 64)

გაფრთხილება: სტროპა, კრუზი, ბობანი

### იუვენტუსი 2:0 ლეჩე

იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო (პესოტო 58), დიმაში, ა. კონტე, ზიდანი, დეშამპი, დი ლივიო (პეკია 46), ინძაგი, დელ პიერო (ამორუზო 58)

ლეჩე: ლორიელი, საკიჩი, ვიალი, კიპრიენი, ანონი, მ. როსი, პიანგერელი, მანკუსო, კასალე, პალმიერი, მასპერო (კოცა 78)

1:0 ინძაგი (84), 2:0 კონტე (93)

გაფრთხილება: დიმაში, ლორიერი, როსი

### ემპოლი 1:3 რომა

ემპოლი: პაგოტო, ფუსკო, ბალდინი (ვუკოტიჩი 88), ბიანკონი, პუშედუ (არკადიო 64), მარტინო, პანე, ფიკინი, მარტუსკელო (ტონეტო 64), კაპელინი, ესპოზიტო

რომა: კონსელი, კაფუ, ალდაირი, სერვიდეი, კანდელა, დი ფრანჩესკო (სკაპოლო 55), დი ბიაჯო, ტომაზი, დელვეკიო (იგუერა 86), ბალბო, პაულო სერჯიო (გაუტიერი 55)

0:1 დელვეკიო (3), 1:1 კაპელინი (16 პ), 1:2, 1:3 ბალბო (46, 61)

გაფრთხილება: მარტუსკელო, კაპელინი, კონსელი, ტომაზი

### უდინეზე 2:3 ფიორენტინა

უდინეზე: კანიატო, ჯენო, კალორი, ბერტოტო, ჰელვეგი, კაპიოლი (იორგენსენი 55), ვალემი (დიგნაციო 69), ბაჩინი, პოჯი (ფერნანდესი 80), ბირპოფი, მ. ამოროზო

ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი, ფირიკანო, ფალკონე, კანჩელსკისი, კოისი, რუი კოშტა, სერენა (ბეტარინი 60), ოლივეირა (კ. ამოროზო 91), ბატისტუტა, რობიატი (მორფეო 69)

1:0 მ. ამოროზო (28), 1:1 ბატისტუტა (59), 2:1 პოჯი (72), 2:2, 2:3 ბატისტუტა (88, 92)

გაფრთხილება: კაპიოლი, ტაროცი, ფირიკანო, ოლივეირა, რობიატი

გაძევება: მ. ამოროზო (31)

### ატალანტა 4:2 ბოლონია

ატალანტა: ფონტანა, მირკოვიჩი (ს. როსინი 77), სოტილი, დუნდერსკი, რუსტიკო, ფოლიო, სგრო, გალო, ბონაჩინა, კაჩა (ლუკარელი 71), მ. ორლანდო (კარბონე 63)

ბოლონია: ბრუნერი, კარნაშალი (ბონომი 57), ტორიზი, მანგონე (ბრამბილა 81), მაგონი, ნერვო, მაროკი, პავონე, ფონტოლანი (კოლივანოვი 57), ანდერსონი, რ. ბაჯო

1:0 კაჩა (27 პ), 2:0 ორლანდო (48), 3:0 სგრო (79), 3:1 ანდერსონი (84), 3:2 ბაჯო (88 პ), 4:2 ლუკარელი (93)

გაფრთხილება: მირკოვიჩი, სოტილი, სგრო, გალო, ტორიზი, ბაჯო

### ბარი 0:2 პარმა

ბარი: მანჩინი, გარსია, ბრესანი, რიპა (სასარინი 73), მანიგეტი, დე როსა, ვოლპი, ინგესონი, სორდო (ჯორჯეტი 27), მასინგა, ვენტოლა

პარმა: ბუფონი, ზე მარია, ტურამი, კანავარო, ბენარივო, ორლანდინი (კრიპა 63), სენსინი, დ. ბაჯო, სტრადა (ფიორე 79), კრესპო (პედროსი 73), კიეზა

0:1 სტრადა (42), 0:2 ბენარივო (71)

გაფრთხილება: ვოლპი, მასინგა, ტურამი, ბენარივო

გაძევება: ბაჯო (87)

### სამპდორია 2:1 ვიჩენცა

1:0 ბოლოსიანი (9), 1:1 დი ნაპოლი (54), 2:1 ტოვალიერი (87)

# პირველი. ბოლო თბილისამდე

პირველი ტური, თუნდაც იტალიაში, მხოლოდ პირველი ტურია. მას არავინ გადაჰყავს წინ ან უკან და არც ანიჭებს ვინმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მართალია არითმეტიკულად პირველ ტურში მოპოვებული ან დაკარგული ქულები სეზონის ბოლოს ზუსტად ისევე ითვლება, როგორც ბოლოსწინა ტურის მონაგარი, მაგრამ აქ სხვა განწყობაა, იქ — სხვა, ფეხბურთს კი ციფრები კი არა, ცოცხალი ადამიანები თამაშობენ.

— 0:0 უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა — თქვა „ლეჩესთან" მატჩის შემდეგ „იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — ჩვენ საკმაოდ გაგვიჭირდა და ეს უკვე ამტკიცებს იმას, რომ სერია A-ში სუსტი მეტოქე არ არსებობს. „იუვენტუსს" ჩინებულად სულაც არ უთამაშია, მაგრამ ის ფაქტი, რომ არასდროს ვნებდებით და სულ გოლის გატანას ვცდილობთ, ძალიან მომწონს.

მართლაც, ტურინელებმა, თუმცა ვერ გაიბრწყინეს, ბოლომდე იბრძოლეს და თუნდ შეხვედრის მიწურულს, მეტოქეს გამარჯვება გამოსტაცეს. ასევე მოიქცა მილანის „ინტერი", უფრო სწორედ კი მისი 21 წლის ახალბედა ალვარო რეკობა, რომელმაც სულ ოცი წუთი ითამაშა, მაგრამ „ბრეშიას" ორი გოლი გაუტანა, რითაც ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი გამარჯვებისაც შეაგდო.

— იღბალმა გამიღიმა, ორჯერ რომ გავიტანე, მაგრამ ვიცი, ყოველთვის ასე არ იქნება. ახლა დამშვიდება და მუშაობა მიჯობს, რათა ჩემპიონატის რიტმში ჩავჯდე. ოცი წუთი ოთხმოცდაათი არ არის — თქვა რეკობამ თამაშის შემდეგ.

„ინტერის" მწვრთნელი ჯიჯი სიმონი მაკრიტიკებელ პრესას გაეხუმრა:

— ხომ ხედავთ, რა ფენომენალური მწვრთნელი ვარ! — შემდეგ კი სერიოზულად დასძინა — პირველმა მე ვიცი, რომ უამრავი სამუშაო გველის.

ყველას აინტერესებდა რონალდოს ამბავი. მისგან სასწაულს ელიან, მან კი ჯარიმიდან მხოლოდ ძელს გაარტყა ბურთი.

— დღეს მთავარი გამარჯვება იყო. კიდევ ვაჩვენეთ, რომ „ინტერი" მარტო რონალდო არ არის — თქვა ბრაზილიელმა — ისე კი გთხოვთ, ფენომენს ნუ მიწოდებთ, მე მხოლოდ მუშა კაცი ვარ.

„მილანის" ხელმძღვანელი ფაბიო კაპელო, ბუნებრივია, „პიაჩენცასთან" სტუმრად ფრეთი მთლად კმაყოფილი არ იყო.

— ორი ქულა დავკარგეთ, ესაა რეალობა — განაცხადა მან — ყველაფერს ვაკონტროლებდით, სანამ გაგვითანაბრებდნენ, მაგრამ კუთხური რომ ჩააწოდეს, ჩაგვეძინა. ამის შემდეგ ჩვენი უპირატესობა ველარ გამოვხატეთ, არადა, ბოლოსაც არ გვითამაშია ურიგოდ.

ახლა იტალიელები ორი კვირით წყვეტენ თავიანთ პირველობას. მიზეზი ისაა, რომ შემდეგ ოთხშაბათს მათი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად თბილისს მოემართება. ამ მატჩისთვის მოსამზადებლად ჩეზარე მალდინის გუნდი უახლოეს უქმეებს საწვრთნელ ბაზაზე გაატარებს. შემდეგ, 14 სექტემბერს კი მეორე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: ბოლონია — ინტერი, ბრეშია — სამპდორია, ფიორენტინა — ბარი, ლეჩე — უდინეზე, მილანი — ლაციო, ნაპოლი — ემპოლი, პარმა — ატლანტა, რომა — იუვენტუსი, ვიჩენცა — პიაჩენცა.



REUTERS მილანიდან

ინტერი — ბრეშია. არა, ძმაო რონალდო, ეს ესპანეთი არ გეგონოს

## პორტუგალია

მე-2 ტური. პორტუ — ბელენენსეში 2:0; რიუ ავე — გიმარაეში 1:2; ამადორა — ვარზიმი 0:0; ლეცა — მარიტიმუ 1:1; კამპომაიორენსე — სალგეირუში 0:0; სეტუბალი — ბენფიკა 1:0; აკადემიკა — ბოავიშტა 2:0; სპორტინგი — შავეში 2:0; ბრაგა — ფარენსე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| გიმარაეში | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| მარიტიმუ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| რიუ ავე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| აკადემიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სეტუბალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ბრაგა | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ფარენსე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლეცა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სალგეირუში | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ამადორა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბელენენსეში | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ვარზიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| კამპომაიორენსე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |
| შავეში | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## პოლონეთი

მე-5 ტური. ოსტროვიეცი — ოდრა 3:1; ზაგლებიე — გურნიკი 1:0; ლეგია — რუხი 3:3; სტომილი — ვიძევი 0:1; პეტროხემია — პოგონი 1:0; ამიცა — გროცლინი 0:1; ლკს — რაკოვი 2:1; გკს — პოლონია 1:1; ლეხი — ვისლა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| ლეხი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| ლკს | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| გკს | 5 | 2 | 2 | 1 | 11:6 | 8 |
| ამიცა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| სტომილი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| გროცლინი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| პოგონი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| გურნიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 7 |
| ვისლა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:8 | 7 |
| ლეგია | 5 | 1 | 3 | 1 | 10:7 | 6 |
| რუხი | 5 | 1 | 3 | 1 | 10:9 | 6 |
| ზაგლებიე | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| პოლონია | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ოდრა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 6 |
| ოსტროვიეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| რაკოვი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| პეტროხემია | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

## ისრაელი

მე-3 ტური: ბეითარი — ჰაპოელი (ქფარ სავა) 4:3, ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (თელ ავივი) 2:1, ირონი (რიშონი) — ირონი (აშდოდი) 1:1, ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა) — ჰაპოელი (ბეით შიანი) 3:2, ჰაპოელი (აშკელონი) — ბნეი იეჰუდა 0:0, ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 0:0, მაკაბი (ჰერცლია) — მაკაბი (ჰაიფა) 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰ. იერუსალიმი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ჰ. თელ ავივი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| მ. ჰაიფა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ი. რიშონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ბეითარი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ჰ. ჰაიფა | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბნეი იეჰუდა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ჰ. ბეერშევა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ი. აშდოდი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ჰ. ქფარ სავა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ჰ. ბეით შიანი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ჰ. ფეთაჰ თიქვა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| მ. ფეთაჰ თიქვა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ჰ. აშკელონი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| მ. ჰერცლია | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| მ. თელ ავივი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

# შაბათი. ყველაფერი რიგზეა

### არსენალი 0:0 ტოტენჰემი

**არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ბოულდი, პეტი (პლატი 69), გრიმანდი, ვიეირა, პარლოუ (ანელკა 71), ოვერმარსი, ბერხკამპი, რაიტი (დომინგუში 32)**

**ტოტენჰემი: უოქერი, ედინბურგი, ჩაუელსი, ფოქსი (ნილსენი 46), კარი, კემპბელი, კლემენსი, სქაილზი, ივერსენი (მაბათი 46), სინტონი, ფერდინანდი**

ეს ის შემთხვევა იყო, როცა ერთი მეორეს ძლიერ ჯაბნის, მაგრამ უპირატესობის ტაბლოზე ასახვას ვერ ახერხებს. ჩრდილოლონდონურ დერბიში „მეთოფეთა“ ძლევამოსილება, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, აშკარა იყო, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს და ჩემპიონობისთვის მებრძოლ „არსენალს“ ქულა დასტყუეს. პირველ ნახევარში იან რაიტმა ორჯერ, ოვერმარსმა და ბოულდმა ოთხჯერ შეაზანზარეს ძელი, მაგრამ მეტი ვერა გააზერხეს რა. ვენგერმა იგრძნო, რომ არ უმართლებდა და ანერვიულებული და მანამდე გაფრთხილებული რაიტის ნაცვლად პორტუგალიელი დომინგუში შეუ-



ჩელსი — საუთჰემპტონი. ფრანგ ლებეფს მეორე გოლი გააქვს

შვა, თუმცა ვერც ამან იხეირა. ისე, პირველ ნახევარში მსაჯმა რვა ფეხბურთელი გააფრთხილა, ტოტენჰემელი ედინბურგი კი 33-ე წუთზე სულაც მინდვრიდან მიაბრძანა. სწორედ მცველის გაგდებას მოაყოლა „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ჯერი ფრენსისმა ფორვარდების მცველებით შეცვლა, მატჩის შემდეგ კი შედეგით გახარებულმა თქვა, ნათელი იყო, „არსენალს“ უნდა ემარჯვა, მაგრამ ძლიერ გაგვიმართლაო.

### ჩელსი 4:2 საუთჰემპტონი

**ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ (კლარკი 78), ლებეფი, პოიეტი, უაიზი, ლე სო, სინკლერი, დაბერი, დი მატეო (ნიკოლსი 71), ჰიუზი, ძოლა (ვიალი 71)**

**საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ტოდი, მონკუ, ბენალი, ჰიუზი, მეჯილტონი, მედისონი (ნილსონი 50), ოსტენსტადი, სპედინგი (უილიამსი 71), დევისი (ევანსი 50)**

**1:0 პეტრესკუ (7), 1:1 დევისი (25), 2:1 ლებეფი (28), 3:1 ჰიუზი (31), 4:1 უაიზი (34), 4:2 მონკუ (59)**

ლონდონელებმა პირველ ტურში დასანანი დამარცხების შემდეგ სამივე მატჩი მოიგეს და აგერ ლიდერებსაც მიუახლოვდნენ. „ჩელსის“ პირველ ნახევარში რომ უპირატესობა ჰქონდა, ამგვარი თვით ბარნსლიში 6:0 მოგებულ შეხვედრაში არ ჰქონია. დე გუის გარდა პირველ 45 წუთში ყველამ დაურტყა ჯოუნსს, მეტად აქტიურმა პეტრესკუმ კი ეს სამჯერ მოახერხა. მეორე ტაიმში „ჩელსის“, ეტყობა, თამაშის ინტერესი დაეკარგა, ძალების ხარჯვას უკლო და მეტოქეც ერთხელ ახეირა. „სტემფორდ ბრიჯზე“ შეკრებილი „ჩელსის“ 30 ათასი გულშემატკივრის გახარება თამაშის დამლევს უაიზსაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული მარჯვენა ძელს მცირედით ასცდა.

### ასტონ ვილა 1:0 ლიდსი

**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი (ნილსონი 46), საუთგეიტი, რაიტი, დრაპერი, ტეილორი, გრეისონი, ეჰიოგუ, სტონტონი, იორკი, კოლიმორი**

**ლიდსი: მარტინი, კელი, რობერტსონი, ჰაალანდი, რადებე, უეზეროლი, ჰოფკინი (ჰალე 78), უოლესი, კიუელი, რიბეირო, ჯიმი**

**1:0 იორკი (67)**

მარტო პირველ 20 წუთში ანგარიში 3:3 უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავდამსხმელები სცოდავდნენ. სტუმართაგან ერთობ აქტიურობდა კიუელი, რომელიც „ლიდსის“ ძირითადში პირველად თამაშობდა. მასვე 71-ე წუთზე გაყაიმება შეეძლო, მაგრამ ჩაფლავდა. მანამდე კი ტრინიდადელმა დუაიტ იორკმა კვირაში მეორედ იხეირა, რითაც თავისიანებს „ასტონ ვილას“ ისტორიაში უცუდესი სტარტი — ზედიზედ ოთხი მარცხისგან შემდგარი სერია შეაწყვეტინა.

### კრ. პალასი 1:2 ბლექბერნი

**კრისტალ პალასი: მილერი, ედვორთი, გორდონი, რობერტსი, ტატლი (ფრიდმენი 90), ლინიგენი (ბრიდარსონი 89), უორჰერსტი, დეიერი, როჯერი, ლომბარდო, მუსკატი (ემბლენი 75)**

**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, ჰენდრი (პირსი 62), რიპლი, ვალერი, ფლიტკროფტი, ბოჰინენი, ენჩოსი, სატონი, გალაჰერი, დალინი (ანდერსონი 89)**

**0:1 სატონი (23), 0:2 გალაჰერი (31), 1:2 დეიერი (61)**

„ბლექბერნმა“ სტუმრად მეორე მატჩიც მოიგო, კლუბის საუკეთესო ბომბარდირებმა სატონმა და გალაჰერმა კი საერთო მონაგარი 11-ს უწიეს. ამასთანავე, სატონი პრემიერლიგის ბომბარდირებს ლიდერობს. გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ერთადერთმა კოლინ ჰენდრის ტრავმამ დაჩრდილა. ამ შოტლანდიელმა მცველმა, საჰაერო ორთაბრძოლებს რომ არ ეპუებოდა, ერთხელაც მამაცურად გაიწია მეტოქისკენ და... სტადიონიდან საავადმყოფოში მოხვდა, თუმცა სანამ ჰოსპიტალში გააქანებდნენ, შვიდი წუთი ვერ მოასულიერეს. სავარაუდოდ, მან ტვინის შერყევა მიიღო.

### დერბი ქაუნთი 1:0 ბარნსლი

**დერბი ქაუნთი: პოომი, პაუელი, შტიმაცი (ტრილოპი 73), ვან დერ ლაანი, ლაურსენი, უორდი, ერანიო (როუეტი 53), დეილი, ჩანტი, ბაიანო (სტარიჯი 77), კერსლი**

**ბარნსლი: ლისე, იდენი, ეპლიბი, მოუზისი, ლიდელი, ხრისტოვი (უილკინსონი 61), რედფერნი, დე ზიუ, ბერნარდი (შერიდანი 34), თინქლერი, მარსელე (ჰენდრი 57)**

**1:0 ერანიო (43)**

მეორე ტურში „დერბი ქაუნთიმ“ ახალ



მანჩესტერი — ქოვენთრი. 76-ე წამი. ენდი კოულის დარტყმა და 1:0

სტადიონ „პრაიდ პარკზე“ „უიმბლდონს“ უმასპინძლა. თუმცა, ალბათ გახსოვთ, ინგლისენერგომ სტადიონს დენი სრულყოფილად ვერ მიაწოდა და შეხვედრაც შუაში გაწყდა. მატჩი, რაღა თქმა უნდა, გაუქმდა. ახლა კი „ბარნსლისთან“ მატჩი ისტორიაში შევიდა, როგორც „პრაიდ პარკზე“ ჩატარებული პირველი შეხვედრა. საქართველოსთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სათამაშოდ გამოძახებული ერანიოს სახელიც სამუდამოდ შევიდა მასპინძელთა კლუბის მატიანეში, როგორც „პრაიდ პარკზე“ შეგდებული პირველი გოლის ავტორისა. გოლი კი სტეფანომ ასე შეაგდო: „ფიორენტინადან“ ინგლისში გადაბარგებული ფრანჩესკო ბაიანო, რომელიც პირველად თამაშობდა პრემიერგიგაში, საჯარიმოში მოცელეს. პენალტის შესრულება თავად იკისრა, მაგრამ ლისემ დარტყმა მოიგერია. ჰოდა, სწორედ ამ მოგერიებულს დაამატა ერანიომ.

### შეფილდი 1:0 ლესტერი

**შეფილდ უენსდეი: პრესმენი, აზერტონი, ნოლანი (ბრისკო 62), ნიუსომი, უოქერი, ჰამფრიზი (უითინგემი 76), ნიკოლი, ჰაიდი (კოლინზი 16), ჰერსტი, დი კანიო, კარბონე**

**ლესტერი: კელერი, უოლში, იზეტი, ლენონი, პლერიჯი (ფენტონი 62), კამარკი, პრაიორი (კოტი 80), ელიოტი, ჰიზი, სევიჯი (პარკერი 62), ჰესკი**

**1:0 კარბონე (56 პ)**

პენალტი მეტად საეჭვო იყო. ეჭვით, ცხადია, წაგებულები იყვნენ შეპყრობილნი, თორემ „შეფილდს“ რა უჭირდა. „ბლექბერნთან“ განადგურების შემდეგ გუნდმა იმარჯვა და მორჩა! ისე, ეს შეხვედრა კარბონესთვის სამმატჩიან დისკვალიფიკაციამდე უკანასკნელი გამოდგა — ბენიტომ ბლექბერნში 2:7 წაგებულ შეხვედრაში თავი ვერ შეიკავა და ერთ-ერთ მცველს თავი დაარტყა, რის გამოც დასაჯეს კიდეც.

### მანჩესტერი 3:0 ქოვენთრი

**მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, პალისტერი, ბათი, ფ. ნევილი (ირვინი 66), კინი, ბერგი, ბექემი, გიგზი, შერინგემი, კოული (პობორსკი 60)**

**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, ვილემსი, სალაკო, ტელფერი, რიჩარდსონი, ჰოლი, ნილსონი, ჰაკერბი, დაბლინი**

**1:0 კოული (2), 2:0 კინი (72), 3:0 პობორსკი (90)**

ზედიზედ ხუთ მატჩში მანჩესტერელებს გოლი არ გაუშვიათ — ასე კარგად მათ ჩემპიონატი 103 წლის მანძილზე არ დაუწყიათ. მიუხედავად იმისა, რომ ფერგიუსონის ბიჭები ჯერჯერობით ლიდერები არ არიან, ცხადზე უცხადესია — ინგლისში მათზე ძლიერი არავინაა. მეტოქეებს ერთობ გაუჭირდებათ ალისფერთათვის ჩემპიონობის წართმევა.

...76-ე წამი. ამ სეზონში ძირითადში პირველად მოთამაშე ენდი კოულის დარტყმას შოუ ისხლეტს და ოგრიზოვიჩიც სახტად რჩება. ამის მერე მასპინძლები გამალებით უტევენ, თუმცა, სანამ გუნდის კაპიტანი კინი კუთხურის შემდეგ შეაგდებდა, მანამდე ვერაფერი მოახერხეს. ბოლოს კი ევრო-96 ერთ-ერთმა ვარსკვლავმა კარელ პობორსკიმ წლევანდელ პრემიერლიგაში პირველსავე თამაშში იხეირა და „ქოვენთრის“ საცოდაობას წერტილი დაუსვა.

### ვესტ ჰემი 3:1 უიმბლდონი

**ვესტ ჰემი: მიკლოშკო, ბრეიქერი, ანსუორსი, რიპერი, ჰართსონი, ლომასი, დაუი, ფერდინანდი, მონკური, ლაზარიდისი, ბერკოვიჩი**

**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ბლექველი, ერლი, ჰოლდსუორსი (ეკოკუ 46), პერი, მაკალისტერი (კლარკი 71), ერდლი, ჯაპი, იუელი (გეილი 46)**

**1:0 ჰართსონი (48), 2:0 რიპერი (53), 3:0 ბერკოვიჩი (55), 3:1 ეკოკუ (81)**

„ვესტ ჰემმა“ მეხუთე მატჩში მესამე გამარჯვება რომ მოიპოვა, ძირითადად ისრაელის ნაკრების წევრ ეილ ბერკოვიჩს, ავსტრალიელ სტენ ლაზარიდისსა და ჰოდლის მიერ ნაკრებში დაძახებულ რიო ფერდინანდს უნდა უმადლოდეს. მასპინძელთა სამივე გოლში ბერკოვიჩი მონაწილეობდა, მესამე თავად გაიტანა, პირველ ორში კი საგოლედ უპასა.



გუშინ ლონდონში: გლოვის ნიშნად სახელმწიფო დროშა დაშვებულია

# ...და დრო გაჩერდა

ბრიტანეთის სამეფო ოჯახს მძიმე დღეები უდგას: კვირას, გამთენიისას, პარიზში, მართალია პრინცთან გაშორებული, მაგრამ მაინც პრინცესა, 36 წლის დაიანა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ინგლისში, ისევე როგორც თითქმის მთელს ბრიტანეთში, მწუხარებამ დაისადგურა. ახალგაზრდა პრინცესას ტრაგიკულად დაღუპვამ ხალხს ყველაფრის ხალისი დაუკარგა. კვირას საღამოს ბუკინგემის სასახლეში გამოცხადდა, რომ უელსის პრინცესას პანაშვიდი შაბათს გაიმართება ვესტმინსტერის სააბატოში, შემდეგ კი დაიანას სპენსერთა საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალავენ.

პრემიერლიგის კვირას გასამართი მეტად პრინციპული მატჩი „ლივერპულსა“ და „ნიუკასლს“ შორის სწორედ ამ მიზეზით გადაიდო, ისევე როგორც პირველი დივიზიონის შეხვედრა „ქრიუსა“ და „პორტ ვეილს“ შორის. იმავე დღეს შოტლანდიაში „კილმარნოკს“ „მოზერველისთვის“ უნდა ემასპინძლა, მაგრამ თამაში არ შედგა. გამოცხადდა თუ არა, რომ დაიანა შაბათს დაიკრძალებოდა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ, ისევე როგორც შოტლანდიისამ, უიქენდზე გასამართი ტური გაურკვეველი ვადით გადადო. თან შაბათს შოტლანდია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ბელარუსს მასპინძლობს, თუმცა, მოსალოდნელია, მატჩი არ ჩატარდეს. სქოთთა ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა პიტერ დონალდმა განაცხადა, დიდია ჩვენი მწუხარება დაიანას დაღუპვის გამო, ამიტომ ფიფას, უეფას და მეტოქის ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მივმართავთ, მატჩი გადავდოთ, რადგან პრინცესას დაკრძალვის დღეს თამაში, მეტი რომ არ ვთქვათ, სამეფო ოჯახის უპატივცემულობა იქნებაო. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრის გადადებას ინგლისელებიც აპირებენ. მომავალ ოთხშაბათს მათ მოლდოვას უნდა უმასპინძლონ, მაგრამ მათი ასოციაციის წარმომადგენლის დევიდ დეივისის თქმით, ასოციაციის თავკაცები მატჩის ჩატარება-არჩატარებაზე იმსჯელებენ, საბოლოო პასუხი კი პარლამენტთან თათბირის შემდეგ გამოცხადდება.

ფეხბურთის დარად, ბრიტანეთში ერთობ პოპულარული კრიკეტის კავშირმაც გადადო მატჩები. კვირას ინგლისურ „უორკვირკშაირს“ და უელსურ „ესექსს“ „ნეთვესტის“ თასი უნდა გაეთამაშებინათ, მაგრამ ესეც ორიოდ დღით გადაიდო, ისევე როგორც სხვა შეხვედრები, თუმცა ნორსჰემპტონშაირის გუნდმა ორი დღის შემდეგ თამაშზეც უარი განაცხადა, რადგან თურმე მათ დიდი ახლობლობა ჰქონიათ დაიანას საგვარეულოსთან. „რაც აქაა აგებული, ყველაფერში სპენსერთა ოჯახის ხელი ურევია. ჩვენ არ შეგვიძლია პრინცესას სიკვდილის გამო მხოლოდ ორი დღე არ ვითამაშოთ. დაიანას გარდაცვალება ძალზედ ტრაგიკული შემთხვევაა, მისი უპატივცემულობა კი გამორიცხულია“ — განაცხადა კლუბის წარმომადგენელმა. ინგლისის კრიკეტის კავშირის გუშინდელი ცნობით, მათი თამაშები დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ წუთიერი დუმილით დაიწყება.

ზუსტად იგივე გადაწყვეტილება მიიღო ინგლისის რაგბის კავშირმა, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის ყველა შეხვედრა გადადო, ხოლო მათი განახლება წუთიერი დუმილით ბრძანა. პრინცესას დაღუპვას ევროპის საკლუბო თასის ორგანიზატორებიც გამოეხმაურნენ და შაბათს გასამართი ევროტურნირების პირველი მატჩები სამომავლოდ გადადეს.

შაბათს ასევე არ ჩატარდება ტრადიციული დოღი „ჰამილტონ პარკში“. ამ თვალსასეირო სანახაობის ორგანიზატორებმა განაცხადეს, შეჯიბრება სხვა დღეებში კი გაიმართება, მაგრამ ერთი კვირის მანძილზე წუთიერი დუმილით დაიწყებაო.

მოკლედ, სპორტი, ბრიტანეთში ყოველთვის ყურადღების ცენტრში რომ იყო, სავარაუდოდ ერთი კვირით უკანა პლანზე გადაიწევს. მერე კი კვლავ ჩვეულ ადგილს დაუბრუნდება. მანამდე კი...

... ინგლისი გლოვობს.

**ლაშა გოდუაძე**

# მიეცით ჰოდლს რაიტი!

პრემიერლიგის მორიგ ტურში ლესტერში „არსენალი“ მასპინძლებს ამარცხებდა. ჰოლანდიელმა ბერხკამპმა წამატებულ დროში თავისიანებს მეორედ დააწინაურა, თითქოს თამაშის დამთავრებასაც აღარაფერი აკლდა, მაგრამ მასპინძლებმა მოახერხეს და გააყაიმეს. ამან ლონდონელთა სათადარიგოები და მწვრთნელები აღაშფოთა და შერეკილი იან რაიტის მეთაურობით მინდორზე შეიჭრნენ. სტუმართა საქციელი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ განიხილა და რაიტის დასჯა გადაწყვიტა. არადა, იგი გლენ ჰოდლს ნაკრებში გამოეძახა მოლდოვასთან სათამაშოდ, ასოციაციაში კი — თუ მას დავსჯით, ვერც ნაკრებში ითამაშებსო. ასეთმა ვარაუდმა, ჰოდლი, ვისაც 11 ფეხბურთელი აკლდება ტრავმების გამო, ძლიერ გაანაწყენა და ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი გააკრიტიკა.

გლენმა განაცხადა, რაიტი დამნაშავე კია, მაგრამ არა მგონია, საქმე ასე გასაბუქებელი იყოსო. „მისი დასჯა ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ რაიტის ნაკრებიდან ამოგდებაც სისულელეა. დღესდღეისობით იგი პრემიერლიგის საუკეთესო ფორვარდია, მე კი მას მართმევენ. ასე არ შეიძლება. „ლესტერთან“ „არსენალის“ თამაშს ტელევიზორში ვუყურებდი. მასთან ერთად მოედანზე ბევრი ლონდონელი შეიჭრა. საინტერესოა, რატომ ისჯება მხოლოდ ის? და ბოლოს, დროა სადისციპლინო კომიტეტმა განაჩენის გამოტანისას სხვისი ინტერესებიც გაითვალისწინოს.“



„შეტევაზეა“ იან რაიტი

## ესპანეთი

I ტური

**რეალი 1:1 ატლეტიკო**
0:1 ჟუნინიო (16), 1:1 ზეედორფი (75)

**ბილბაო 1:3 ესპანიოლი**
0:1, 0:2 ქანაიდერი (7, 11), 1:2 ლარასაბალი (183), 1:3 უედკო (35)

**ბარსელონა 3:0 სოსიედადი**
1:0 რივალდო (26), 2:0 ჯოვანი (55), 3:0 რივალდო (80)

**სელტა 2:1 სარაგოსა**
0:1 გონსალესი (61), 1:1 კარპინი (77), 2:1 სალინასი (87)

**კომპოსტელა 2:0 სპორტინგი**
1:0 პენევი (703), 2:0 სიონი (86)

**მალიორკა 2:1 ვალენსია**
1:0 ამატო (5), 1:1 ჯუკიჩი (54), 2:1 ჯუკიჩი (86ს.კ.)

**ოვიედო 2:0 მერიდა**
1:0 დელი ვალდესი (6), 2:0 პომპეი (41)

**რასინგი 1:0 სალამანკა**
1:0 ალბერტო (75)

**ტენერიფე 0:0 დეპორტივო**

*ვალიადოლიდი — ბეტისი წუხელ გაიმართა*

ესპანეთშიც დაიწყო საფეხბურთო ციებ-ცხელება და თან როგორი! უძველესი დედაქალაქელი მტრების, „რეალისა" და „ატლეტიკოს" გახსნის მატჩზე რომელიც შაბათს გაიმართა, გუშინ გიამბეთ, ახლა კი კვირას გამართულ შეხვედრებსაც გადავხედოთ.

ესპანური ფეხბურთის მეორე გრანდმა „ბარსელონამ" სოსიედადის „რეალს" უმასპინძლა და უპრობლემოდ სძლია. „კამპ ნოუზე" შეკრებილმა 80 ათასმა გულშემატკივარმა საყვარელი კლუბის ბრაზილიელების ბრწყინვალე თამაში იხილა. ჯოვანი-რივალდო-ანდერსონის სამეულმა მეტოქეს ბრძოლვნა აღინა და, უეჭველია, კიდევ ბევრს გააცამტვერებს.

„დეპორტივოდან" შესყიდულმა რივალდომ ჩემპიონატში პირველი გოლი შეაგდო. მეორე ნახევარში კი ამას ბრაზილიელებმა ორიც წაუმატეს. პრემიერ დივიზიონში ალზევებულთაგან „მალიორკა" ერთადერთი გამოდგა, რომელმაც პირველსავე ტურში მოიპოვა ქულები. კუნძულელებმა გაცილებით ცნობილი „ვალენსია" სტუმრისვე ავტოგოლის წყალობით სძლია. ისე, იუგოსლაველმა ჯუკიჩმა ერთობ იაქტიურა, მეტოქესაც გაუტანა, საკუთარ მეკარესაც, ბოლოს კი იმდენი ქნა, მსაჯს თავი გააგდებინა. ოვიედოში ადგილობრივმა კლუბმა „მერიდას" სძლია. პანამელმა ხულიო დელი ვალდესმა, შარშან პსჟ-ში რომ თამაშობდა, ესპანეთში სადებიუტო მატჩში შეაგდო. ტურის ყველაზე უხვგოლიანი შეხვედრა კი ბილბაოში გაიმართა. ბასკების „ატლეტიკ"-ს „ესპანიოლს" უმასპინძლა და მეკარის უნიათო თამაშის გამო დამარცხდა, ხუან ესნაიდერმა კი ერთი გოლი დაახლოებით 35 მეტრიდან შეაგდო.

და ბოლოს, გუშინ ცნობილი გახდა, რომ შვედი თომას ბროლინი, ვის შეძენასაც „სარაგოსა" ცდილობდა, „ლიდსიდან" ესპანეთში ველარ გადავა. თითქოს გარიგება უნდა შემდგარიყო, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა. თავად ფეხბურთელმა კი ლამის იყო, იტირა — რაშია საქმე, არ მესმისო.



ჟუნინიო ჩემპიონატში გატანილ პირველ გოლს ზეიმობს

### მეორე დივიზიონი

პირველი ტური: ლევანტე — ტოლედო 0:1, ლეგანესი — ეიბარი 1:0, ერკულესი — რაიო 0:0, ნუმანსია — ელჩე 2:1, ალავესი — ალბასეტე 5:1, ოსასუნა — ვილიარეალი 0:1, ატლეტიკო B — ლას პალმასი 1:1, სევილია — ლეიდა 5:1, ლოგრონიესი — ორენსე 0:1, ბადახოსი — ხაენი 1:1, ესტრემადურა — ხერესი 1:0

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის „დეპორტივომ" ნიგერიელი მეკარე პიტერ რუფაი შეიძინა. გასულ სეზონში რუფაი „ერკულესში" თამაშობდა, მაგრამ კლუბთან ერთად პრიმერა დივიზიონის დატოვება მოუხდა.**

**შოტლანდიის** „სელტიკი" და ვიგოს „სელტა" პორტუგალიელი ფორვარდის ჟორჟე კადეტეს ტრანსფერზე შეთანხმდნენ. 29 წლის თავდამსხმელმა 4 მილიონ 900 ათასი დოლარის სანაცვლოდ ესპანელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „სელტიკმა" ერთი თავდამსხმელი რომ გაუშვა, მეორე დღეს მეორეც დაკარგა — დარენ ჯექსონმა ტვინის შერყევა მიიღო.

**რუსეთში ამ ბოლო დროს მოხშირდა კლუბების თავგამოდებულ ქომაგთა უაზრო ჩხუბები. ბოლო ტურში „სპარტაკი" — „ზენიტის" შეხვედრის წინ გულშემატკივრებმა ერთმანეთს დასცხეს, რის შედეგადაც 13 კაცი საავადმყოფოში დააწვინეს, 30 კი პოლიციამ შეიპყრო. იმავე რუსეთში ვოლგოგრადის „როტორის" ფორვარდი ოლეგ ვერეტენნიკოვი პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც ჩემპიონატში 100 გოლი შეაგდო. ამ საიუბილეო ციფრს ნაკრებში ჯერ უთამაშებელმა ოლეგმა მოსკოვის „ლოკომოტივთან" შედეგიანი გოლით მიაღწია.**

**ბულგარეთის** მე-4 ტური: ეტარი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:1, ოლიმპიკი — ლევსკი (სოფია) 2:1, ცსკა — ლიტექსი 1:1, სპარტაკი (პლევენი) — ლოკომოტივი (სოფია) 1:3, დობრუჯა — ლევსკი (კიუსტენდილი) 1:0, ბოტევი — ნეფტოხიმიკი 0:3, მინიორი — მეტალურგი 0:0, სლავია — სპარტაკი (ვარნა) 0:1. 10 ქულით ლიდერობს ცსკა.

**ხორვატიის მე-5 ტური: შამობორი — ჰაიდუკი 0:2, სლავენი ბელუპო — ზაგრები 0:2, დრაგოვილიაცი — მლადოსტ 127 2:1, ზუ[illegible] [illegible] 0:2, [illegible]აცია — შიბენიკი 1:0. რიეკა — ოსიეკი 1:1. 12 ქულით ლიდერობენ კროაცია და ჰაიდუკი.**

**რუმინეთის** მე-5 ტური: ფორესტა — სპორტული 4:2, უნივერსიტატია (კრაიოვა) — ფარული 4:1, რაპიდი — პეტროლული 2:1, ოცელული — ჟიული 7:0, რესიტა — უნივერსიტატია (კლუჟი) 2:0, ბაკეუ — გლორია 0:0, არჯესი — ჩაჰლაული 1:0, დინამო — ჩინდია 4:1. 15 ქულით ლიდერობენ ოცელული და არჯესი.

**ჩეხეთის მე-4 ტური: ბანიკი — ბობი 3:3, ჩესკე ბუდეიოვიცე — სიგმა 0:0, პეტრა — კაუჩუკი 1:1, ვიქტორია ჟიჟკოვი — ტეპლიცე 0:0, სლოვანი ლიბერეცი — იაბლონეცი 3:1, სლავია — ჰრადეცი 7:1, დუკლა — ვიქტორია პლზენი 2:0. 10 ქულით ლიდერობს სლავია. 3 თამაშიდან 9 ქულით მეორეა სპარტა.**

**სლოვენიის** მე-6 ტური: პრიმორიე — მურა 4:2, ვეჩე — ოლიმპია 2:2, კოროტანი — გორიცა 1:0, რუდარი — მარიბორი 1:1. 13 ქულით ლიდერობს პრიმორიე.

**იუგოსლავიის მე-4 ტური: ჩუკარიჩკი — ვოივოდინა 2:1, ჰაიდუკი — ზემუნი 2:1, ბუდუჩნოსტი — მლადოსტი 3:0, პარტიზანი — პროლეტერი 4:1, ობილიჩი — ზელეზნიკი 3:1, რადი — ცრვენა ზვეზდა 0:1. 12 ქულით ლიდერობენ პარტიზანი და ობილიჩი.**

**უკრაინის** მე-7 ტური: დნეპრი — ნივა 0:1, მეტალურგი (დონეცკი) — ვორსკლა 0:0, კარპატი — კრივბასი 2:1, ჩერნომორეცი — მეტალურგი (მარიუპოლი) 2:1, ცსკა — ტავრია 3:1, პრიკარპატიე — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 2:2, ტორპედო — ზირკა-ნივბასი 0:1. 15 ქულით ლიდერობს კიევის დინამო.

**უნგრეთის მე-6 ტური: ფერენცვაროში — დებრეცენი 3:0, ბეკეშჩაბა — ვაშაში 0:2, დიოშდიორი — ვაცი 2:2, კიშპეშტი — შტადლერი 0:1, დიორი — გასერი 1:0, ზალეგერსეგი — შიოფოკი 1:0, ვიდეოტონი — ჰალადაში 2:1, უიპეშტი — მტკ 1:1, ტისაკეჩკე — ბვსც 3:3.**

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### ევროპა

#### ჰოლანდია

მეკარეები — ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი), ედ დე გუი (ჩელსი); მცველები — ფრენკ დე ბური (აიაქსი), მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა), იაპ სტამი, არტურ ნუმანი (ეინდჰოვენი), უინსტონ ბოგარდი (მილანი); ნახევარმცველები — ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, ჟან-პოლ ვან გასტელი (ფეიენოორდი), ვიმ იონკი, ფილიპ კოკუ (ეინდჰოვენი), არონ ვინტერი (ინტერი), კლარენს ზეედორფი (რეალი); თავდამსხმელები — რონალდ დე ბური (აიაქსი), დენის ბერხკამპი (არსენალი), პიერ ვან ჰუიდონკი (ნოტინგემი), ბუდევინ ზენდენი (ეინდჰოვენი), პატრიკ კლუივერტი (მილანი).

#### ბელგია

მეკარეები — ფილიპ დე ვილდე (სპორტინგი), ფილიპ ვანდე ვალე (ლიერსი); მცველები — ფილიპ ალბერი (ნიუკასლი), ბერტრან კრასონი (ნაპოლი), ალბერ დე რუვერი (ბრედა), რეჯის ჟენუ (უდინეზე), რუდი სმიდტსი (შარლერუა), ერიკ ვან მეიერი (ლიერსი), გორდან ვიდოვიჩი (მუსკრონი); ნახევარმცველები — გიუნტერ სხეპენსი (კარლსრუე), ენცო შიფო (ანდერლეხტი), ლორენცო სტალენსი (ბრიუგე), ფრენკი ვან დერ ელსტი (ბრიუგე), ნიკო ვან კერკჰოვენი (ლიერსი); თავდამსხმელები — ჟილ დე ბილდე (ეინდჰოვენი), ფილიპ ჰააგდორენი (ლიერსი), ლოკონდა მპენზა (სტანდარდი), ლუის ოლივეირა (ფიორენტინა), ბობ პეტერსი (როდა).

#### რუმინეთი

რუმინეთი 6 სექტემბერს ლიხტენშტაინს ეთამაშება, ხოლო 10-ში ირლანდიას. ნაკრების მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ შაბათს ერთობ სუსტ ლიხტენშტაინელებთან სათამაშოდ ორ დებიუტანტს — ბუქარესტის „რაპიდის" მცველ კრისტიან დულჩას და პიტეშტის „არჯეშის" ფორვარდ კონსტანტინუ ბარბუს დაუძახა. თურქეთის „გალათასარაიში" მოთამაშე ოთხი რუმინელი — გეორგ ჰაჯი, გეორგ პოპესკუ, ადრიან ილიე და იულიან ფილიპესკუ ნაკრებს ირლანდიელებთან სათამაშოდ შეუერთდებიან.

მეკარეები — ბოგდან სტელია (მალიორკა), დუმიტრუ სტინგაჩუ (ქოჯაელისფორი); მცველები — დან პეტრესკუ (ჩელსი), დანიელ პროდანი (ატლეტიკო), ანტონ დობოში (აეკ), ლივიუ ჩებოტარუ (ნაციონალი), ვალენტინ სტეფანი (ოცელული), კრისტიან დულჩა (რაპიდი), ტიბორ სელიმეში (ანდერლეხტი), დან პოტოჩანუ (სერვეტი); ნახევარმცველები — დორინელ მუნტიანუ, კონსტანტინ გილჩა (ესპანიოლი), ილიე დუმიტრესკუ (ატლანტე), გაბრიელ პოპესკუ (უნივერსიტატია), დენის სერბანი (სტიაუა); თავდამსხმელები — ვიორელ მოლდოვანი (გრასჰოპერი), გეორგ კრაიოვიანუ (სოსიედადი), კონსტანტინუ ბარბუ (არჯეში).

#### ნორვეგია

6 სექტემბერს აზერბაიჯანის ნაკრები ბაქოში ნორვეგიას უმასპინძლებს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ სკანდინაველთა რიგებში ვერ ითამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი რონი იონსენი. მან კლუბში ვარჯიშისას ფეხის კუნთის ტრავმა მიიღო. ეგილ ოლსენმა, რომელიც ჯერაც ნაკრების მწვრთნელია, იონსენის ნაცვლად „რუსენბორგის" ნახევარმცველი ერიკ ჰოფტენი გამოიძახა.

იონსენის თამაში 10 სექტემბერს შვეიცარიელებთანაც სათუოა.

#### ესპანეთი

ესპანეთის ნაკრებს გამოაკლდა ბილბაოს „ატლეტიკის" ნახევარმცველი იულენ გერერო, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის პირველსავე ტურში „ესპანიოლთან" 1:3 წაგებულ მატჩში მუხლის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. კლუბის წარმომადგენლის თქმით, გერერო დაახლოებით ოქტომბრის შუამდე ვერ ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი სლოვაკებთან შეხვედრის დარად ფარერებთან მატჩსაც გამოტოვებს.

#### იუგოსლავია

მწვრთნელმა სლობოდან სანტრაჩმა სლოვაკებთან სათამაშოდ დეიან სავიჩევიჩი, პრედრაგ მიატოვიჩი და დრაგან სტოიკოვიჩი გამოიძახა, რომლებსაც რუსებთან ამხანაგურ მატჩში არ უთამაშიათ. ბოლო ორმა სანქტ-პეტერბურგის შეხვედრა კლუბების გამო გამოტოვა, სავიჩევიჩი კი ტრავმირებული იყო.

მეკარეები — ივიცა კრალი (პარტიზანი), დრაგოი ლეკოვიჩი (კილმარნოკი), ალექსანდრ კოჩიჩი (პერუჯა); მცველები — რისტო ვიდაკოვიჩი, ალბერტ ნადი (ბეტისი), ზორან მირკოვიჩი (ატალანტა), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია), სინიშა მიხაილოვიჩი (სამპდორია), გორან ჯოროვიჩი (სელტა); ნახევარმცველები — დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია გრამპუს ეითი), ბრანკო ბრნოვიჩი (ესპანიოლი), დეიან გოვედარიჩა (ვოლენდამი), სლავიშა იოვანოვიჩი (ტენერიფე), ვლადიმერ იუგოვიჩი (ლაციო), ზელირ პეტროვიჩი (ეინდჰოვენი), ლუბინკო დრულოვიჩი (პორტუ); თავდამსხმელები — დეიან სავიჩევიჩი (მილანი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი), სავო მილოშევიჩი (ასტონ ვილა), ზორან იოვიჩიჩი (ცრვენა ზვეზდა).

## ბელადის მკვლელები არცთუ მკაცრად დასაჯეს

გუშინ ჰარლემში ჰოლანდიური ფეხბურთის უდიდესი ტრაგედიის გამოძიება დასრულდა.

მოკლედ საქმის ვითარების შესახებ. წლეულს მარტში, ამსტერდამსა და როტერდამს შორის გზაზე „აიაქსის" და „ფეიენოორდის" თავგადაკლული ქომაგები შეეყარნენ ერთმანეთს. მოშუღართა შეხვედრა უჩხუბრად როგორ ჩაივლიდა — და აკი ტრაგედიაც მოხდა. ოცამდე გულშემატკივარი საავადმყოფოში მოხვდა, ერთი კი, კარლ პიკორნი, ამსტერდამელი გულშემატკივრების ერთ-ერთი დაჯგუფების ბელადად რომ ითვლებოდა, გარდაიცვალა. გამოძიება გაზაფხულის მერე არ შეწყვეტილა და მართლმსაჯულებმა თხუთმეტამდე დამნაშავე დააკავეს.

სასამართლომ მკვლელობაში ორი ეჭვმიტანილი, 20 და 24 წლის ახალგაზრდები დანაშაულში გამოტეხა და ოთხ-ოთხი წლით მიუსაჯა ციხეში ყურყუტი. მათი სასჯელი ამით არ ამოწურულა. განთავისუფლების შემდეგ მათ ექვსი თვე აეკრძალებათ სტადიონზე შესვლა. კიდევ ორი დამნაშავე ორი და სამი წლით ჩასვეს ციხეში, ხოლო ოთხს წელიწადნახევარით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მკვლელობის საქმე კი მორჩა, მაგრამ პოლიცია დამნაშავეთა ძებნას კვლავ განაგრძობს. დაკავებულია კიდევ შვიდი გულშემატკივარი, რომლებსაც თუ პიკორნის მკვლელობაში მონაწილეობა დაუმტკიცდათ, არაა გამორიცხული, მათაც ვირის აბანოში უკრან თავი.

## და სუკის აგენტობა?

კენიის ნაკრები ვერც აფრიკის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა და ვერც საფრანგეთის საგზური მოიპოვა. ეს კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ აგერ კვირას გუნდმა ირანთან ამხანაგურ მატჩში ვერ ივარგა და კენიის ფეხბურთის ფედერაციის გაწიწმატებულმა გენმდივანმა სამუშაოდან დაითხოვა ნაკრების გერმანელი მწვრთნელი რაინჰარდტ ფაბიში, ვისაც ოქტომბრამდე უნდა ემუშავა. მიზეზად კენიელმა ჩინოვნიკმა ფაბიშის მიერ „მოვალეობისგან თავის დაძვრომა და საბოტაჟი"(?) დაასახელა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. V ტური**

2 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — შეფილდ იუნაიტედი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ქრიუ — ბერი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ჰადერსფილდი — ბრედფორდი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| იფსვიჩი — სვინდონი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| პორტსმუთი — ნორვიჩი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| რედინგი — ქუინზ პარკი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სტოკპორტი — მიდლსბრო | 3,0 | 2,7 | 2,0 |
| სანდერლენდი — ოქსფორდი | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| ტრანმერი — ბირმინგემი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| 3 სექტემბერი | | | |
| ნოტინგემი — მანჩესტერ სიტი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| სტოკი — ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ვულვერჰემპტონი — პორტ ვეილი | 1,3 | 3,4 | 6,5 |

**რუსეთის ჩემპიონატი. XXVI ტური**

3 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — კამაზი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| ლოკომოტივი — ჟემჩუჟინა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ბალტიკა — ტორპედო | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| ნოვგოროდი — როტორი | 5,3 | 3,8 | 1,3 |
| კრილია სოვეტოვი — სპარტაკი | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| ზენიტი — ჩერნომორეცი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| როსტსელმაში — შინიკი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ტიუმენი — დინამო | 5,3 | 3,2 | 1,5 |
| ფაკელი — ალანია | 3,2 | 3,0 | 1,8 |

**იტალიის ჩემპიონატი. მეთექვსმეტედფინალი. I მატჩები**

3 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშელო — იუვენტუსი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ლეჩე — ემპოლი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| პესკარა — ვიჩენცა | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| დი სანგრო — ფიორენტინა | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| ვერონა — რომა | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| რეჯინა — უდინეზე | 4,2 | 3,0 | 1,6 |
| პერუჯა — ნაპოლი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ფ. ანდრია — ლაციო | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| ფოჯა — ინტერი | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| კალიარი — პიაჩენცა | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| ტორინო — სამპდორია | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| რეჯანა — მილანი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ჯენოა — ატალანტა | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| რავენა — ბოლონია | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| ბარი — ბრეშია | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| ვენეცია — პარმა | 5,0 | 3,3 | 1,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

**პრობლემა, ჯერჯერობით, ასე თუ ისე, გადაიჭრა: ოქტომბერში, პარიზის ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში 65 კილოგრამ წონაში გიორგი ვაზაგაშვილი იასპარეზებს, ხოლო 60 კილოში — „ჯღანა“ — გიორგი რევაზიშვილი. არადა, გეხსომებათ, ორივე ფალავანს 65 კილოგრამი ჰქონდა ამოჩემებული, არც ერთს არ უნდოდა წონის დაკლება ან მომატება და მათი ეს სურვილი ლამის ურთიერთდაპირისპირებაშიც გადაიზარდა. ორივე გიორგი იმუქრებოდა კიდეც — თუ საფრანგეთში 65-ში არ გამოვალ, საერთოდ არ წავალ მსოფლიო ჩემპიონატზეო. საბედნიეროდ, ძიუდოს ფედერაციის თავკაცთა და, უპირველესად, ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის ძალისხმევით „ჯიუტი იხვებიდან“ ერთმა — გიორგი რევაზიშვილმა დათმო და დათანხმდა ნაკრების თავკაცებს, პარიზში 60 კილოში იასპარეზოს. რამდენად ოპტიმალურია მწვრთნელთა ეს გადაწყვეტილება, ამას მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები გასცემს პასუხს. მანამდე კი, გუნდი გამალებით ემზადება წლის მთავარი შეჯიბრებისთვის, მათ შორის „ჯღანაც“, რომელსაც ბორჯომში შეკრებაზე გამგზავრების წინ გავესაუბრე.**

# ჯღანას ჯაჯღანი არ უყვარს

## ორმა გიორგიმ გასაყოფი გაიყო



— გიორგი, საუბარი შოთა ხაბარელის სიტყვებით მინდა დავიწყო: „ბედნიერებაა, როცა ერთ წონაში ორი ისეთი ტალანტი გყავს, როგორებიც გიორგი ვაზაგაშვილი და გიორგი რევაზიშვილი არიან.“ ეს საქართველოს ჩემპიონატის დასრულებისას მითხრა ბატონმა შოთამ. ნაკრების მწვრთნელისთვისა და ძიუდოს სამყაროსთვის, მართლაც სასურველია ძლიერი კონკურენცია, მაგრამ ხშირად ეს სპორტსმენის პირადი ტრაგედიის მიზეზი გამხდარა — ბევრმა ფალავნამ სპორტი მიატოვა, ზოგმაც უცხოეთს მიაშურა. შენც მსოფლიოს ჩემპიონატზე წაუსვლელობით იმუქრებოდი, ახლა კი გავიგე, „ჯღანა“ 60 კილოში ჭიდაობას დათანხმდაო. რა მოხდა?

— უპირველესად, ეს შოთა ხაბარელის დამსახურებაა. დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პირად მწვრთნელს ამირან ტოტიკაშვილსაც. ამ ხალხმა მთხოვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წავსულიყავი და 65 კილოში ვაზაგაშვილს ეჭიდავა. მეც დავფიქრდი და მივხვდი, რომ ქვეყნისა და ქართული ძიუდოს სასიკეთოდ ასე ჯობდა. ღმერთმა ქნას, მეც და გიორგიც მედლებით დავბრუნდეთ პარიზიდან.

**— ვაზაგაშვილმა რატომ არ დათმო 65 კილო?**

— აბა, სხვის მაგივრად რა გითხრა. გიორგის თავისი საქმე აქვს, მე — ჩემი. ფაქტია, რომ ის 65-ში დარჩა და 60-ში მე „ჩაველი“.

**— წონის დაკლების პრობლემა ხომ არ გაფიქრებს?**

— წონის დაკლება საერთოდ პრობლემაა, მაგრამ ისეთი არა, რომ ვერ გადავჭრა. ახლა მთელი ძალით ვემზადები და საპარიზოდ სასურველ ფორმაში ვიქნები.

**— ღმერთმა ინებოს, საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონი გახდე. მაშინ, ალბათ, მწვრთნელებსაც ექნებათ სათქმელი — 60 კილო „ჯღანასთვის“ ოპტიმალური წონააო და, ალბათ, სამომავლოდ ამ წონაში დარჩენასაც მოგთხოვენ.**

— ჩემპიონიც რომ გავხდე, მაინც მექნება 65-ში ჭიდაობის პრეტენზია და კიდეც ვიჭიდავებ. ჩემთვის საუკეთესო ვარიანტად ეს წონა მიმაჩნია. აბა, მუდმივად წონის დაკლებაში ხომ არ ვიქნები?

**— ახალ წონაში შენი უცხოელი მეტოქეებისა თუ იცი რამე?**

— ჩემი კონკურენტები ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი ნამურა, მეორე და მესამე პრიზიორები, გერმანელი ტრაუტმანი და იტალიელი ჯოვინაცი იქნებიან. ამ იტალიელმა მოუგო, სხვათა შორის, ვაზაგაშვილს ატლანტაში. კიდევ არის 2-3 ანგარიშგასაწევი ძიუდოისტი. მათზე ვიცი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადებიან და საუცხოო ფორმაში არიან. დანარჩენს ჩემპიონატი გვიჩვენებს.

**— ერთი უკვე მოძველებული ამბავი უნდა გაგახსენო. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალში მამუკა კურდღელაშვილს იპონით მოუგე, მაგრამ ქომაგთა დიდ ნაწილსა და არაერთ სპეციალისტს მოეჩვენა, რომ არ იყო იპონი — მსაჯები შეცდნენ და გაგამარჯვებინეს. იყო თუ არა იპონი, შენ რას ფიქრობ?**

— მსაჯების საქმეში ჩარევა არ მიყვარს, მით უმეტეს, მაშინ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ წმინდად გავიმარჯვე. თუ არ იყო იპონი, ნუ მომცემდნენ, გავაგრძელებდი შეხვედრას და ისევ მოსაგებად ვიბრძოლებდი. ამის თაობაზე ისევ მსაჯებს დაეკითხო, ჯობს.

**— ჩვენებურ სპორტსმენთა ბოლოდროინდელ საფიქრალზე — დაგვიანებულ ან მიუღებელ პრემია-ხელფასებზე რას იტყვი?**

— სიმართლე გითხრა, ეგ პრობლემა არ მაწუხებს. რაც მეკუთვნის და რასაც შემპირდნენ, ნამუსიანად მიხდიან. ჯერჯერობით ასეა.

**— ყველა სპორტსმენს ჰყავს თავისი კერპი, ალბათ, არც შენ იქნები გამონაკლისი.**

— რასაკვირველია. ჩემი კერპი, ცხადია, ძიუდოისტია — შოთა ხაბარელი.

**— მიუხედავად იმისა, რომ სამსოფლიოსჩემპიონატოდ შენ მოგიწია წონის დაკლება და ეს შოთა ხაბარელმა გადაწყვიტა.**

— დიახ, შოთა ხაბარელი დიდბუნებოვანი და წესიერი კაცია, საუკეთესო მწვრთნელი — პრინციპული და რეჟიმის მოყვარული, რაც მთავარია, ბიჭებთან ერთიერთობისას არაფერი ეშლება. დიდი სპორტსმენი რომ იყო, ამის მტკიცება არც ღირს; ეს ჩემზე ნაკლებად არც შენ იცი.

**— კოჭს ხომ არ უგორებს ნაკრების წევრი მთავარ მწვრთნელს?**

— „ჯღანას“ ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს. შოთა ხაბარელს კი დღემდე ჩემგან ტკბილი სიტყვისა და ერთგულების მეტი არაფერი დაუმსახურებია.

**ლევან ჯავახიშვილი**



# ოთხი უნდა მოშორდეს

ათენში ისტიბარი არ გაიტეხეს. საბერძნეთის ოლიმპიურმა შეფებმა გუშინ ასე განაცხადეს: „შეტევამ გაგვაოცა და მეტი არაფერი. ის ჩვენს მიზანს ხელს ვერ შეუშლის. ბოლოს და ბოლოს ბომბი ხომ ნამდვილი არ იყო, ჩვენი ოფისის შესასვლელს ვიღაც ბიჭ-ბუჭებმა სამი მხოლოდ და მხოლოდ სამი გაზიანი კანისტრა ესროლეს.“

ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთის რედაქციაში ვიღაცამ დარეკა. მისი თქმით, აქცია ათენში 2004 წლის ოლიმპიადის გამართვის მოწინააღმდეგე ბერძენთა ჯგუფმა მოაწყო. ეს ჯგუფი აფეთქებას თავის თავზე იღებდა. მოწმეთა ჩვენებით, საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის ნეოკლასიკური არქიტექტურით ნაგები შენობის კარს ცეცხლი ეკიდა.

ამ დღეებში ყველაფერია მოსალოდნელი. პარასკევს, ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ხომ კონგრესს მართავს, სადაც გადაწყვეტს ხუთი კანდიდატიდან რომელს ერგება სიდნეის შემდგომი ოლიმპიადის მასპინძლობა. რომი, ათენი, სტოკჰოლმი, ბუენოს აირესი და კეიპტაუნი — ეს ქალაქები ებრძვიან ერთმანეთს, ამ ქალაქებს ებრძვიან ოლიმპიადის მოწინააღმდეგე საკუთარი მოქალაქენი.

მართლაც ყველაფერია მოსალოდნელი. ათენში ბომბი კვირას აფეთქეს, ორი დღით ადრე კი სიცილიაში პრიმო ნებიოლო ავარიაში მოჰყვა. პრიმო ნებიოლო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტია, 74 წლის. მას საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტშიც უდიდესი გავლენა აქვს და იმავდროულად რომის მიერ 2004 წლის ოლიმპიადის ხელში ჩაგდებას ხელმძღვანელობს. დიდძალი ფულისა და კავშირების პატრონს არავისგან ესწავლება, როდის რა თქვას, ხილულად თუ ფარულად რა მოიმოქმედოს. რას უნდა მივაწეროთ სოკ-ის კონგრესამდე ერთი კვირით ადრე მომხდარი ავარია? ნუთუ ეს შემთხვევითობა იყო? თუ ნებიოლოს თავიდან მოცილებას გეგმავდნენ, მაშინ რად არ მიიყვანეს საქმე ბოლომდე? ნუთუ გეგმა ხეირიანად ვერ განახორციელეს!? ცხადია, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ტურინელი ადვოკატის ავარია მხოლოდ ბედის ირონია გახლდათ. ეს, შეიძლება, იმანაც გვაფიქრებინოს, რომ ნებიოლოს ლიმუზინი პოლიციის მანქანას დაეჯახა, თუმცა, თვალის ასახვევადაც შეიძლება პოლიციის მანქანის გამოყენება. საგულისხმოა, რომ პოლიციის მანქანაში მსხდომთა შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. ამბობენ, ისინი საავადმყოფოში წაიყვანესო. არც ნებიოლოს მძღოლის ჯანმრთელობაზე უთქვამთ რამე. ერთადერთი, რაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-მდივანმა განაცხადა, გახლავთ ის, რომ დოქტორი ნებიოლო მსუბუქადაა დაშავებული და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პოლიციის მავანი ოფიცრის ცნობით, არც სინიორა ჯოვანა ნებიოლოს ემუქრება სიკვდილი. დოქტორის მეუღლეს მხარი მოუტეხია. ცნობილია, რომ მძლეოსანთა ბოსი პალერმოს მიემგზავრებოდა, სადაც სიცილიაზე მიმდინარე სტუდენტური თამაშების საფეხბურთო მატჩებს უნდა დასწრებოდა, შემდეგ კი ლოზანაში აპირებდა გადაფრენას.

სისხლთან თამაშს დასაბამი ერთი შეხედვით მშვიდმა შვედებმა დაუდეს. ზევით მოგახსენეთ, რომ სტოკჰოლმი ხუთ კანდიდატ ქალაქს შორის ერთ-ერთი გახლავთ და შესაბამისად იგიც ინტერესთა შეჯახების ადგილადაა ქცეული. პირველი ბომბი სწორედ იქ, სტადიონის შესასვლელთან აფეთქდა. შემდეგ იგივე განმეორდა გიოტებორგშიც. ტერორისტული აქტები საკუთარ თავზე აიღო ორგანიზაციამ „ჩვენ, ვინც შვედეთი ავაშენეთ“. საიდუმლო ორგანიზაციის მავანმა წევრმა განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც ქვეყანაში უამრავი სოციალური პრობლემაა, დოპინგით გაჭყეპილ სპორტსმენთა მასპინძლობაზე ფულის ხარჯვა უზნეობაა. ტერორისტებმა მიზანს მიაღწიეს, აფეთქებების შემდეგ სტოკჰოლმის შანსი ერთიორად შემცირდა. მიუხედავად ამისა, შვედეთის დედაქალაქის პროტეჟეები იმედს არ ჰკარგავენ. „შესაძლოა, ბომბებმა ეფექტი მოახდინონ, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შანტაჟს არ წამოეგება და ერთგული დარჩება თავისი ყოფილი პრეზიდენტის ევერი ბრენდიჯის ლოზუნგისა „თამაშები უნდა გაგრძელდეს“, რომელიც მან მიუნხენში, 1972 წელს წარმოთქვა, პალესტინელმა ტერორისტებმა თერთმეტი ებრაელი სპორტსმენი რომ მოჰკლეს“ — განაცხადა ერთ-ერთმა პროტეჟემ.

აგვისტოს დასაწყისში ათენში მძლეოსანთა მსოფლიოს პირველობაზე გახლდით და იქ ერთმა გარემოებამ გამაოცა: ოლიმპიურ სტადიონზე გულშემატკივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდიოდა, ამა თუ იმ სახეობაში ბერძენი ათლეტი თუ მონაწილეობდა. როდესაც ბერძენი არავინ იყო, ტრიბუნებზე ვეება სიცარიელე ჩამოწვებოდა ხოლმე. ასე გახლდათ თვით 100 მეტრზე სირბილის ფინალის დროს, ხოლო 100 მეტრზე სირბილი, მოგეხსენებათ, ფეხბურთის შემდეგ მეორეობაზეც კი აცხადებს პრეტენზიას. მე მიკვირდა, პრიმო ნებიოლო კი თურმე სიამოვნებით ისრესდა ხელებს და ამზადებდა ფრაზას, ბერძნებს სტადიონზე სიარულს პლაჟზე წამოწოლა ერჩივნათო. შემდეგ ნებიოლომ დასძინა: „მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი მოვლენა გახლდათ, მაგრამ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია რომ არა, ბერძენი ორგანიზატორები ამოცანას თავს ძნელად თუ გაართმევდნენ.“

ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, ნიუანსსაც კი. დოქტორი ნებიოლო ყოველ ნიუანსს ვირტუოზულად იყენებს. თავად განსაჯეთ, რომის კანდიდატურას თვით ვატიკანმა დაუჭირა მხარი. რაღაა სათქმელი?!

კიდევ ერთი ზემნიშვნელოვანი საკითხი: ამერიკული ტელეკომპანია NBC, ოლიმპიადის ტრანსლაციათა უფლების ერთპიროვნული მფლობელი, რომის მოსურნეა. იტალიის დედაქალაქში დიდებული პირობები და საუცხოო ხედებია. NBC-ს პოზიცია კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის იქნებ გადამწყვეტიც გამოდგეს, რადგან საუბარი უამრავ მილიონ დოლარს ეხება.

ზემოთ ვთქვით, ყველაფერს აქვს მნიშვნელობაო. რომს საკუთრივ განაცხადიც ბრძნულად აქვს შედგენილი, ზედმიწევნით თანმიმდევრულად ასაბუთებს თავისი პირობების უპირატესობას. მაგალითად სტუმართა სასტუმროებში განთავსება მოვიტანოთ: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს რომაელები ბულვარ ვია ვეტოზე განლაგებულ სასტუმროთა ფუფუნებას ჰპირდებიან.

კიდევ ორი პრეტენდენტია: ბუენოს აირესი და კეიპტაუნი. არგენტინის დედაქალაქში გამოკითხვა მოაწყვეს. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 55,2 პროცენტის აზრით, ბუენოს აირესს ოლიმპიადის ხელში ჩაგდების დიდი შანსი აქვს, 33,3 პროცენტი კი სკეპტიკურადაა განწყობილი. ქვეყნის უპოპულარულეს გაზეთ „ლა ნასიონში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ მაცხოვრებელთა 89 პროცენტი ოლიმპიადის გამართვას ქალაქისთვის სასარგებლო საქმედ თვლის, ხოლო 10,8 პროცენტს საზიანოდ მიაჩნია. 57,9 პროცენტს ბუენოს აირესი უსაფრთხო ქალაქად აქვს წარმოდგენილი, 38,4 პროცენტი კი უსაფრთხოების ლაცვით უკმაყოფილოა. იყო სხვა მონაცემებიც, მაგრამ რიცხვებს თავი არ მოვაბეზრებინოთ და ზოგადად ვთქვათ: ბუენოს აირესში თითქოსდა ყველა პირობაა საოლიმპიადოდ შექმნილი, მაგრამ ამ ქალაქს ოლიმპიადას ალბათ არავინ დაუთმობს. ძნელი წარმოსადგენია, სხვაგან ფარული თუ აშკარა გარიგებები მიმდინარეობდეს, სისხლიც გახდეს გამოსაშვები, ათეულობით მილიონი დოლარი დატრიალდეს, გამარჯვება კი წილად ხვდეს ქალაქს, რომელსაც ყოველივე ამაში მონაწილეობა არ მიუღია და ოლიმპიადის ჩატარება უბრალოდ სურს. ბუენოს აირესის საწინააღმდეგოდ ყველაზე გავრცელებული ვერსია ის გახლავთ, რომ ფეხბურთის ტრფიალმა არგენტინელებმა ოლიმპიადის ყადრი და მადლი არ იციანო.

არც კეიპტაუნს უნდა ჰქონდეს დიდი შანსი. მართალია, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი, პოპულარული პოლიტიკოსი ნელსონ მანდელა პარასკევს თავად ჩაბრძანდება ლოზანაში, მაგრამ იქ ალბათ ღირსეული პატივით დახვდებიან და თავაზიანი უარით გამოისტუმრებენ. საქმე ისაა, რომ ნელსონ მანდელას ქვეყანა, აპარტეიდის გამო, დიდი ხნით იყო საერთაშორისო სპორტს ჩამოშორებული და ახლა, პირდაპირ ოლიმპიადას არ ჩაატარებინებენ. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ქალაქის ზანგი მოსახლეობა ოლიმპიადის მასპინძლობის იდეას დიდად არ უჭერს მხარს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესამდე სამი დღით ადრე საკმაოდ ნათელ სურათს გვიხატავს ინგლისური სააგენტო „როიტერის“ მიერ მოწყობილი გამოკითხვა-გამოკვლევა. აშკარად გამოიკვეთა ორი ლიდერი, რომი და ათენი, მათ შორის კი უმაღლეს ოლიმპიურ წრეებთან დაახლოებული ოცდაერთი პიროვნებისგან თექვსმეტმა იტალიის დედაქალაქის გამარჯვება იწინასწარმეტყველა. ბერძნული გრინპისის ხელმძღვანელი სტელიოს პსომასი როიტერისეულ მასალებს რომ გაეცნო, განაცხადა: „აშკარაა, რომ თვით ათენის მხარდამჭერნი აღიარებენ, რომ გარემოსა და ტრანსპორტის თვალსაზრისით მათი რჩეული ქალაქი კონკურენტს ჩამორჩება.“

„რომს ტექნიკურად უკეთესი პირობები აქვს — თქვა ერთ-ერთმა გამოკითხულმა — თან ის დიდებული ქალაქია, რომელსაც არც გამოცდილება აკლია. გარდა ამისა, რომაელებს უფრო გავლენიანი ხალხი უჭერს მხარს.“

„ათენი ოლიმპიადის სულიერი სამშობლოა. ატლანტის მარცხის შემდეგ, ვფიქრობ, ჭეშმარიტ ოლიმპიურ იდეებს უნდა მიეცეს გასაქანი“ — უთხრა სააგენტოს მეორემ.

გარკვეული შანსი სტოკჰოლმსაც აქვს შემორჩენილი, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მას ტერორისტებმა აუმღვრიეს წყალი. ცხრა გამოკითხულმა განაცხადა დანანებით, აფეთქება რომ არა, ხმას შვედებს მივცემდიო, და მაინც სტოკჰოლმი პარასკევის კონგრესზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ელიან, რომ ის დელეგატები, ვინც ამა თუ იმ მოსაზრებით რომსა და ათენს უგულებელჰყოფენ, სწორედ სტოკჰოლმს მისცემენ ხმას და ამან შესაძლოა გარკვეული შედეგიც გამოიღოს.

საკუთრივ კენჭისყრა კი ეტაპებად მოეწყობა. თავიდან, პირველ ეტაპზე დამარცხებული კანდიდატი მოაკლდება ბრძოლას, მერე მეორე და ასე შემდეგ, სანამ მხოლოდ გამარჯვებული არ დარჩება. გამარჯვებულმა კი ხმათა ორმოცდაათი პროცენტი უნდა მოაგროვოს.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ოლიმპიადა და გერმანელები

კვირას, ბერლინის საქალაქო ხელისუფლების პრეს-ატაშემ, მიხაელ-ანდრეას ბუცმა განაცხადა, რომ გერმანიის ახალმა დედაქალაქმა შესაძლოა 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა ისურვოს და საამისოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ოფიციალური განცხადებაც აახლოს.

— თუმცა ჯერ ძლიერ ადრეა და ჩვენც მდგომარეობას კიდევ ბევრჯერ გავაანალიზებთ. უპირველესად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, აქვს თუ არა ევროპულ ქალაქს 2008 წლისთვის რაიმეს შანსი — თქვა ბუცმა გერმანიის რადიოში გამოსვლისას.

მისი განცხადებით, ბერლინი, რომელსაც 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურდა, მაგრამ სიდნეისთან წააგო, არც 2012 ან 2016 წლების ოლიმპიადების მასპინძლობას გამორიცხავს.

— ჩვენ დიდი ღონისძიებისთვის სრულიად შესაფერისი ინფრასტრუქტურა გვაქვს — თქვა პრეს-ატაშემ, რომელიც, ბუნებრივია, 1936 წელს აგებულ ოლიმპიურ სტადიონს გულისხმობდა.

საინტერესოა, რომ გერმანელთაგან იმავე 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა რურის ოლქსაც სწადია. მას 2000 წლის ოლიმპიადის მოპოვებაც უნდოდა, მაგრამ მაშინ ბერლინის სასარგებლოდ გაჩუმება აიძულეს.

იმავე დღეს, ბერლინელი პრეს-ატაშე ოლიმპიადის მასპინძლობაზე რომ საუბრობდა, გერმანიაში ახალი დოპინგ-სკანდალი აგორდა. გავარდა ხმა, რომ ერთი ცნობილი სპორტული ექიმი მძლეოსან ქალებს შარშან, ატლანტის ოლიმპიადაზე, ადამიანთა ზრდის ჰორმონებს უკეთებდა.

ეს ცნობილი პრეპარატი, HGH, ზრდის ადამიანის კუნთის მასას და ზომას და საყოველთაო დევნის ობიექტია. გერმანელი ექიმი, რომლის სახელსაც არ აცხადებენ, ბრალდებას უარყოფს, სპორტსმენები კი ამბობენ, ჩვენ წამლებს არ ვითხოვდითო.

ამ სკანდალმა, რომლის შესახებაც გერმანიისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელმა თომას ბახმა არაფერი იცოდა, მსოფლიოს ახალი საზრუნავი გაუჩინა, ხალახალი სიმძაფრით წამოიჭრა დოპინგ-კონტროლის საერთო ნორმებისა და კოდის შემუშავების საკითხი.

**მიხეილ სურგულაძე**

# გლოვა და თამაში

### შაბათი

US OPEN
A USTA EVENT

მაყურებლებისა და სპეციალისტების ყურადღება შაბათს 15 წლის მირიანა ლუჩიჩისკენ იყო მიმართული. ხორვატ გოგონას, რომელსაც ჰინგისზე არანაკლებ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, წილისყრამ მესამე წრეში მსოფლიოს მესამე ჩოგანი — ჩეხი



ნოვოტნა პატარას მოერია

იანა ნოვოტნა შეახვედრა. იანამ პირველი სეტი იოლად მოიგო, მეორეში 4:1-ს იგებდა, როცა, როგორც სჩვევია, ინიციატივა ხელიდან გაუშვა და მეტოქეს დაწევის შესაძლებლობა მისცა. მირიანამ უძლავრესი დარტყმებითა და სტაბილური თამაშით სეტი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, იქ კი ანერვიულებულმა ნოვოტნამ შეცდომათა სერია მოაწყო და 3:7 დამარცხდა. ლუჩიჩი მესამე ხელში 3:1-თაც დაწინაურდა, მაგრამ გამოცდილმა მეტოქემ თამაშის ტაქტიკა შეცვალა — ბადესთან ხშირი სირბილითა და მოჭრილი დარტყმების ცვალებადობით უპირატესობასაც მიაღწია და ზედიზედ ხუთი გეიმიც მოიგო, 6:2, 6:7, 6:3. მატჩის შემდეგ ლუჩიჩი საკუთარი თამაშით უკმაყოფილო იყო — უნდა მომეგოო, რითაც სახელოვანი მეტოქე ცოტათი გაანაწყენა კიდეც, თუმცა, მან თბილი სიტყვებიც არ დაიშურა — არასოდეს მყოლია ასეთი ძლიერი დარტყმების მქონე მოწინააღმდეგეო. ლუჩიჩი ასაკის კვალობაზე ისე კარგად თამაშობს და იმდენად შეუფერებლად... გამოიყურება, რომ „ოუფენზე“ ჟურნალისტებმა მირიანას დედას ისიც კი ჰკითხეს, თქვენი შვილი მართლა 15 წლის თუ არისო, რაზეც პასუხად მიიღეს, შეგიძლიათ დაბადების ადგილზე — დორტმუნდში თავად შეამოწმოთო.

ნოვოტნა კი გადარჩა, მაგრამ ესპანელ კონჩიტა მარტინესს (7) ავსტრალიელმა რეიჩელ მაკქვილმა შავი დღე აყარა — 6:2, 7:5. ყველასთვის უცნობმა 18 წლის ესპანელმა მარი ლუიზა სერნამ, ვისაც მაგუიდ იხსენიებენ, მაგრამ თავად მაუი მოსწონს, მეთექვსმეტედ განთესილი ამერიკელი კიმბერლი პო დაამარცხა 6:4, 6:3.

**მესამე წრე: არანჩა სანჩეს ვიკარიო (10, ესპანეთი) — ალექსანდრა ფუზაი (საფრანგეთი) 6:2, 6:1; ლინდსი დევენპორტი (6, აშშ) — პატი შნაიდერი (შვეიცარია) 1:6, 6:1, 6:4; მერი ჯო ფერნანდესი (12, აშშ) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:1, 6:2; ფლორენსია ლაბატი (საფრანგეთი) — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 4:6, 7:6, 6:1.**

თუ ქალთა ჩოგბურთში ამინდს ახალბედები ქმნიან, კაცებში ახალგაზრდობა ვერაფრით დაიკვეხნის. შაბათს ამათ შორის ყველაზე ნიჭიერს — ბრაზილიელ გუსტავო კერტენს (9) შვედმა ირნას ბიორკმანმა სულ იოლად, სამ სეტში მოუგო 6:3, 6:1, 7:5. ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი (14), „სკადად“ წოდებული 20 წლის ეისების ფაბრიკა კი წყვილთა თამაშის ოსტატმა, ჩეხმა დანიელ ვაცეკმა დაამარცხა 7:6, 7:5, 6:2. იმედგაცრუება ელოდათ იმათ, ვინც შარშანდელი დაუვიწყარი მეოთხედფინალის შემდეგ კორეჩა — სამპრას II-ს ელოდნენ წელს. ესპანელს, რომელიც მეექვსედ იყო განთესილი, ფეხის კუნთი დაეჭიმა და ჰოლანდიელ რიხარდ კრაიჩეკს უბრძოლველად დანებდა. ყველაზე დაძაბული შეხვედრა ესპანელ ფელიქს მანტიასა (12) და ჰოლანდიელ იონ ვან ლოტუმს შორის გაიმართა, მეხუთე სეტში მანტიას ორჯერ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, რასაც ჰოლანდიელმა სპორტული აფერისტობა უწოდა — დაღლილი იყო და დასვენება უნდოდაო. ავად თუ კარგად, მანტიამ მაინც მოიგო 6:7, 6:2, 7:6, 6:2, გამარჯვებულებს კი, არ ასამართლებენ.



მანტია აფერისტობს?

**მესამე წრე: გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 7:6 (7:5), 6:3, 6:1; სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 7:6, 3:6, 2:6, 6:4, 6:4.**

### კვირა

კვირადღე, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ფლაშინგ მიდოუზზეც მწუხარედ დაიწყო — კორტზე მოსულმა მაყურებელმა და ჩოგბურთელებმა ფეხზე ადგომითა და დუმილით მიაგეს პატივი ტრაგიკულად დაღუპულ ლედი დის — ინგლისის პრინცესა დიანას და მასთან ერთად ავტოკატასტროფაში დაღუპულთ. დიანა ჩოგბურთის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა, პირადად იცნობდა ბევრ ჩოგბურთელს, მეგობრობდა ბორის ბეკერთან და უიმბლდონის 1977 წლის გამარჯვებულ ვირჯინია ვეიდთან. ბევრმა ჩოგბურთელმა გამოხატა თავისი უკმაყოფილება და აღშფოთება პაპარაცების მოქმედების გამო. ანდრე აგასი, ვისაც ჟურნალისტები მთელი კარიერის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევენ, სათამაშოდ შავი სამკლაურით გამოვიდა, მატჩის შემდეგ კი აღნიშნა, რომ მომხდარი თანამედროვე მსოფლიოს ავადმყოფობაზე მეტყველებს: „იმედია, ხალხი ახლა მაინც მოვა გონს და მიხვდება, რაც ყველგან ხდება, ეს სრული სიგიჟეა“. ანდრე თავის ინტერვიუში არც ბევრად უცერემონიო გამოთქმებს მოერიდა და მსოფლიოს არხები მის სიტყვებს სხვადასხვა ხმის ეფექტებითლა ფარავდნენ. მონიკა სელეშმა კი გაიხსენა, 1990 წლის როლან გაროსის ფინალის შემდეგ დადევნებული ფოტორეპორტიორები როგორ შეასკდნენ მის მანქანას და მომხდარს საშინელი ტრაგედია უწოდა.

დღის საუკეთესო შეხვედრა ცენტრალურ კორტზე გაიმართა. ყოვლად გაუგებარი წილისყრის შემდეგ ისე მოხდა, რომ მეორედ და მეცხრედ განთესილი ჩოგბურთელები — მონიკა სელეში და ფრანგი მარი პირსი მერვედფინალშივე შეხვდნენ ერთმანეთს. ჩოგბურთის სამყაროში მოდის კანონმდებელმა მარომ ამერიკის ღია პირველობისთვის ჩაცმულობაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა — მაყურებელს წითელ შორტებში გამოწყობილი წარუდგა. პირველი სეტი მისი სრული უპირატესობით მიმდინარეობდა: ფრანგი ლამაზმანის მიერ კორტის სხვადასხვა ბოლოში ყუმბარასავით გაგზავნილ ბექჰენდ-ფორჰენდებს სელეში ვერაფერს უხერხებდა. ასევე თამაშობდა პირსი ბადესთანაც, სადაც მთელი მატჩის განმავლობაში ორად ორი ბურთი გაუფუჭდა. მეორე სეტში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. თავიდანვე დაწინაურებული სელეშის დაწევაზე ფიქრს პირსმა ძალების შემონახვა არჩია და ხელი უბრძოლველად დათმო 2:6. მესამე სეტში კი მაყურებელმა ფინალის საკადრისი ჩოგბურთი იხილა, რომლის დარი წელს მარტოდენ სელეშ-ჰინგისის როლან გაროსეული ნახევარფინალი თუ იყო. მატჩის ბედი მესამე გეიმმა გადაწყვიტა, როდესაც პირსს ორჯერ ჰქონდა ბრეიკ-პოინტი და მონიკამ ორივე ქალთა ჩოგბურთისთვის უჩვეულოდ — ეისებით გადაარჩინა. მომდევნო გეიმში კი 40:40-ზე პირსმა დაძაბულობას ველარ გაუძლო და ჯერ ორმაგი შეცდომა დაუშვა, მერე კი ბურთი აუტში გაგზავნა — 1:3. როდესაც მარი როლან გაროსზე ფრანგი მაყურებლის წინაშე დამარცხდა სელეშთან, იგი



პირსი მოდაში პირველია, ჩოგბურთში...

სტვენით გააცილეს. აი, ნიუ იორკში კი, ყველას გასაკვირად თითქმის მთელი კორტი პირსის მხარეს იყო და [illegible] უადგილო შეძახილებითაც კი [illegible] ფრანგმაც თავისდა [illegible] ბოლომდე იბრძოლა, თუმცა, ზედიზედ მესამე დიდი სლემის ტურნირს მაინც მერვედფინალში გამოეთიშა — 6:1, 2:6, 2:6.

გარდა სელეშისა, მეოთხედფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვეს რუმინელმა ირინა სპირლეამ (11), რომელმაც სამხრეთაფრიკელი ამანდა კუტცერი (6) დაამარცხა 7:6, 6:4; ფრანგმა სანდრინ ტესტიუმ, ვინაც დაძაბულ ბრძოლაში, მესამე სეტის ტაიბრეიკზეღა სძლია სლოვაკ კარინა ჰაბსუდოვას — 6:3, 4:6, 7:6 (7:1). ტესტიუს მეტოქე მეოთხედფინალში 17 წლის ზანგი ვილიამსი იქნება, ვისი დაფრთხობაც კროუგერმა, სახელად ჯოანეტმა ვერაფრით მოახერხა — 6:1, 6:3.

კაცებში კი კვლავ ფანტასტიკურ ჩოგბურთს უჩვენებს ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი (13). წინა მატჩში მან მხოლოდ ხუთი გეიმი წააგო, მორიგი მეტოქის — ფრანგი ლიონელ რუსთვის კი რაფტერმა ამდენიც არ გაიმეტა 6:1, 6:1, 6:2. ყვითელწაღება კაფელნიკოვის წითელთავა მძლეველ მარკ ვუდფორდს კი ვარდისფერ ტრუსებში გამოწყობილმა თავგადახოტრილმა ანდრე აგასიმ, ვინც თავის საუკეთესო ფორმას იბრუნებს, შანსი არ დაუტოვა — 6:2, 6:2, 6:4. ყველაზე ლამაზი მატჩი კი მეთერთმეტე კორტის მცირერიცხოვანმა მაყურებელმა იხილა. წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტის — ფრანგი სედრიკ პიოლინისა და ათლეტური ინდოელის — ლეანდერ პაესის დაძაბული ორთაბრძოლა თითქმის სამ საათს გრძელდებოდა და ბევრი შესანიშნავი, ხანგრძლივი გათამაშებით გამოირჩეოდა. მეხუთე სეტში პაესმა ექვსი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მაგრამ პიოლინის საუცხოო თამაშს მაინც ვერაფერი მოუხერხა. საბოლოოდ 3:6, 7:6, 1:6, 6:3, 6:4. ამერიკელმა ჩანგმა სარგის სარგსიანი გამოაგდო: 6:1, 6:3, 7:5.

**მესამე წრე: სერხი ბრუგერა (7 ესპანეთი) — ერნან გუმი (არგენტინა) 6:1, 6:4, 5:7, 3:6, 6:4; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:2, 6:4, 6:3; მარსელო რიოსი (10 ჩილე) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 3:6, 6:3, 1:6, 6:1; ვეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 5:7, 7:6, 6:3, 6:0.**

**ავთანდილ სვანიძე**



# გზგრეგის დაისი

ამ დღეებში ნჰლ-ში მომხდარ საყურადღებო მოვლენათა შორის ყველაზე სენსაციური კაროლინა — კალგარის დიდი გაცვლაა. თავად განსაჯეთ, 31 წლის გერი რობერტსი, რომელმაც მძიმე ტრავმის გამო თითქოს შარშან დაასრულა კარიერა, კვლავ დაუბრუნდა ჰოკეის, მაგრამ, ეტყობა, კალგარიში მისთვის ადგილი აღარ მოიძებნება და იგი გოლკიპერ ტრევორ კიდთან ერთად კაროლინაში გადავიდა. მათ ნაცვლად კი კანადის კლუბმა ენდრიუ კესელზი და ახალგაზრდა მეკარე ჟან-პიერ გიგერი შეიძინა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა რობერტსი, ღირსეულად დაუბრუნდეს დიდ ჰოკეის. ნუ დავივიწყებთ, რომ სამიოთხი წლის წინ გერი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი იყო. 1992-93 წლების სეზონში მან 55 შაიბა შეაგდო. ეს გაცვლა მით უფრო მოულოდნელია, რომ რობერტსი ამპლუით ფრთაზე მოთამაშე ჰოკეისტია და ამ პოზიციაში ყველაზე მეტად უჭირდა მის ყოფილ გუნდს. ამასთანავე კესელზი კაროლინაში მთავარ გამთამაშებლად ითვლებოდა (წინა სეზონში იგი 66 (22+44) ქულით გუნდის მეორე ბომბარდირი იყო) და მისი წასვლით გუნდს სერიოზული პრობლემები გაუჩნდა. და ეს მაშინ, როცა კალგარის ორი საკმაოდ მაღალი დონის ცენტრფორვარდი — ტეო ფლერი და გერმან ტიტოვი ჰყავს. თუმცა, ამ უკანასკნელს ჯერ არ გაუგრძელებია კონტრაქტი.

რეინჯერზი ჯერ კიდევ სეზონის ბოლოს აპირებდა რობიტაილის გაყიდვას, მაგრამ ფორვარდმა ფეხი მოიტეხა და გამოჯანმრთელების შემდეგ ფლეი ოფში ერთობ გამოადგა თავის კლუბს. სხვათა შორის, რობიტაილი (962 ქულა კარიერაში), ისევე როგორც ოუთსი, ალბათ, გასცდება 1000 ქულიან ზღვარს. კევინ სტივენსიც თავის დროზე ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლებოდა, 1991-92 წლებში პიტსბურგში მარიო ლემიეს მუდმივი პარტნიორი იყო და გუნდის წარმატებებშიც დიდი წვლილი შეიტანა (1991-92 წლების სეზონში სტივენსი 123 (54+69) ქულით ჩემპიონატის მეორე ბომბარდირი იყო), მაგრამ უკანასკნელი ორი სეზონი მისთვისაც უიღბლო გამოდგა, ისევე როგორც რობიტაილისთვის. რეინჯერზი და ლოს ანჯელესი როგორც იქნა, შეთანხმდნენ. 31 წლის ნიუ იორკელი რობიტაილი კვლავ დაუბრუნდება თავის ყოფილ კლუბს, სადაც მან თავისი საუკეთესო წლები გაატარა, ლოსანჯელესელი კევინ სტივენსი კი მის ადგილს დაიკავებს რეინჯერზში. იქნებ ახალმა კლუბებმა დადებითად იმოქმედოს ვეტერანებზე.

რობიტაილის დარად მცველი სტივ დიუშენიც კვლავ დაუბრუნდა თავის ყოფილ კლუბს — სენტ-ლუისს. წინა ორი სეზონი მან ოტავაში ჩაატარა და საკმაო წვლილიც შეიტანა ახალგაზრდული გუნდის წარმატებებში (შეგახსენებთ, რომ შარშან ოტავა თავის ისტორიაში პირველად გავიდა სტენლის თასზე და პირველ წრეში დიდი წინააღმდეგობა გაუწია ბუფალოს). დიუშენი ამპლუით შემტევი მცველია და „ბლიუზმენების“ ხელმძღვანელობის განცხადებით, გუნდს სწორედ ისეთი ტიპის მოთამაშე ესაჭიროება, რომელიც რიცხვმრავლობაში ააწყობს თამაშს. ახალ კლუბში მას არანაკლებ ძლიერი პარტნიორი ეყოლება ელ მაკინისის სახით. დიუშენის ნაცვლად ოტავა რუს მცველს, 31 წლის იგორ კრავჩუკს მიიღებს. ამ უკანასკნელისთვის ნჰლ-ში ექვსწლიან კარიერაში ოტავა მეოთხე კლუბია (მანამდე ჩიკაგო და ედმონტონი მოიარა) და დაგროვილი აქვს 155 (39+116) ქულა.

ერთი გაცვლა ედმონტონსა და აილენდერზს შორისაც მოხდა — პირველის პოლონელი მოთამაშე, 25 წლის მარიუშ ჩერკავსკი ნიუ იორკში ახალგაზრდა ბრენტ ლაკუტიურზე გაიცვალა. ჩერკავსკი საკმაოდ სტაბილური ჰოკეისტია და განსაკუთრებით კარგად თამაშობს რიცხვმრავლობაში. შესაძლოა, მან პარტნიორობა გაუწიოს ნიუ იორკელ ლიდერებს, ევროპელებს — პალფისა და რაიჰელს. რაც შეეხება ლაკუტიურს, ის ჯერჯერობით ლიგაში არ გამოსულა, მაგრამ ჭაბუკთა უკანასკნელ პირველობაზე აშშ-ს ნაკრებში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო.

როგორც იქნა, თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს კლუბებთან საკონტრაქტო საქმეები სახელოვანმა ფორვარდებმა — ადამ ოუთსმა (ვაშინგტონი) და დუგ გილმორმა (ნიუ ჯერსი). ოუთსმა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მეტად ხელსაყრელი ხელშეკრულება გააფორმა — სამი წლის განმავლობაში იგი 9 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც ვაშინგტონის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული კონტრაქტია. გილმორს კი სასურველი კონტრაქტის გასაფორმებლად გაცილებით დიდი ჯაფა დაადგა. საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ ჰოკეისტმა დაამტკიცა თავისი სიმართლე. მან კიდევ ერთი წლით გაიგრძელა ნიუ ჯერსიში ყოფნა 3,5 მილიონ დოლარად, რაც შარშანდელ ხელფასს 1,3 მილიონი დოლარით აღემატება. საინტერესოა, რომ ოუთსი და გილმორი ერთი ამპლუის — ფლეიმეიკერის მოთამაშეები არიან და მათი კარიერაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ოუთსმა 826 თამაშში 996 ქულა (258+738) დააგროვა, ხოლო გილმორმა — 1123 (368+755). 1992 წელს ორივემ შეიცვალა კლუბი (ოუთსი სენთლუისიდან ბოსტონში გადავიდა, გილმორი — კალგარიდან ტორონტოში). ახალ გუნდებში პირველი სეზონი კარიერაში საუკეთესო ჰქონდათ. ოუთსი 141 ქულით (45+96) ლიგის მესამე ბომბარდირი გახდა, ხოლო გილმორმა პერსონალური რეკორდი დაამყარა — 127 (32+95). ამის შემდეგ პირადმა შედეგიანობამაც იკლო და მათი კლუბების წარმატებებმაც. წინა სეზონში ორივემ ახალ გუნდში გადასვლა გადაწყვიტა. ოუთსი თავისი ჯენტლმენური ქცევითაც არის ცნობილი. ლიგაში გატარებულ 12 სეზონში მან მხოლოდ 263 საჯარიმო წუთი დააგროვა. 4-ჯერ იყო „ლედი ბინგ მემორიალ ტროფის“ მაძიებელი, რომელიც ლიგის ყველაზე კეთილშობილ მოთამაშეს გადაეცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთხელ ვერ დაეუფლა მას (სამჯერ მეორე იყო, ერთხელ — მესამე).



ლობეზე მიჭყლეტილმა დუგ გილმორმა ნიუ ჯერსისთან კონტრაქტი სასამართლოს მეშვეობით განაახლა

კარიერა დაასრულა ლიგის კიდევ ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ, 34 წლის დეილ ჰავერჩუკმა. ეს ფაქტი მით უფრო გულსატკენია, რომ იგი მშვენივრად თამაშობდა და ერთ-ორ სეზონს მაინც კიდევ თავისუფლად გაუძლებდა. როგორც ამბობენ, მიზეზი მისი ძველი ტრავმებია. ჰავერჩუკმა ლიგაში 16 სეზონი ჩაატარა და ამ ხნის განმავლობაში 1409 (518+891) ქულა დააგროვა, რაც ნჰლ-ს ისტორიაში მე-10 შედეგია. 1981-82 წლების სეზონში, როცა მისი კარიერა დაიწყო, ფორვარდი საუკეთესო დებიუტანტად აღიარეს, ხოლო თავისი სარეკორდო შედეგიანობა კი 1984-85 წლებში აჩვენა — 130 ქულა და 53 შაიბა.

შეგახსენებთ, რომ კარიერის დამთავრებაზე განაცხადეს სხვა სახელოვანმა მოთამაშეებმაც: მარიო ლემიემ, ჯო მულენმა (ორივე პიტსბურგი), კრეიგ მაქტავიშმა (სენტლუისი), პეტ ლაფონტენმა (ბუფალო), სტივ სმიტმა (ჩიკაგო) და პოლ ბროტენმა (დალასი), რომელიც 1980 წელს აშშ-ს ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

რეინჯერზი, შესაძლოა, კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს, როგორც იცით, მესიეს გაყიდვის შემდეგ ნიუ იორკელებმა ღირსეულ შემცვლელს დაუწყეს ძებნა. ისინი ჯერ კოლორადოელ საკიკზე შეჩერდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ, ამჯერად ვანკუვერის „რუსულ რაკეტა“ პაველ ბურეს გადაბირებას აპირებენ. ამჟამად ჰოკეისტთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. ამასობაში კი რეინჯერზმა კიდევ ერთი მოთამაშე, მცველი ბრაუნი შეიძინა.

**სამველ ლარიბიანი**

## რაგბი

# მამები ფეხს ითრევენ

ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელთა — ჯექ რაუელისა და გრეგ სმითის გადადგომამ ნოკდაუნები აწვნია ინგლისისა და ავსტრალიის რაგბის კავშირებს. პირველს ახალი მოძღვარი 29 აგვისტოს უნდა დაენიშნა, მეორეს — 1 სექტემბერს, მაგრამ ორივეს ალმასკომი ოდენ კანდიდატთა სიების გამოქვეყნებას დაჯერდა და არჩევანი სამომავლოდ გადადო. გარდა ამისა, გაირკვა, რომ წყალი სამხრეთი აფრიკის „ქურციკების" მწვრთნელ კარელ დიუპლესისაც შედგომია. მისთვისაც შეუთვლიათ დიდ-მოხელეებს, დროით გადადექი, თორემ მარცხიანი სეზონისთვის პასუხს მოგკითხავთო.

ამასობაში სამივე სამხრეთულ ქვეყანაში საშინაო შეჯიბრებები გრძელდება. ავსტრალიას ალბათ არც გაისად ექნება ქვეყნის პირველობა. ზელანდიის ჩემპიონატში შინ დამარცხდა ლიდერი ქენთებრი, აფრიკის ქარრის თასზე კი ჩრდ. ტრანსვაალი ცხრილის ფსკერიდან ალბათ ამოყვინთავს და პლეი-ოფში მოხვდება. პირველგან ჩემპიონობისათვის ოთხი მოწინავე იბრძოლებს, მეორეგან — რვა.

### ახალი ზელანდიის პირველობა

პირველი ჯგუფის III ტური. ჩრდ. ნავსაყუდელი (ოლბანი) 16 (3) (ლ) — ოძლენდი 20 (11) (ლ); ველინგთონი 23 (6) (2ლ) — ძაუნთიზ-მანუკაუ (პუკაკოე) 37 (15) (5ლ); საუსლენდი (ინვერქარგილი) 22 (ლ) — ოთაგო (დანიდინი) 20 (ლ); ქენთებრი (ქრაისტჩერჩი) 18 (18) (3ლ) — ვაიქათო (ჰამილთონი) 24 (6) (2ლ)

მონაგარი: ქაუნთიზ-მანუკაუ 13 ქულა (3 თამაშიდან); ქენთებრი 11 (3); ვაიქათო 9 (3); ოქლენდი და თარანაქი (ნიუ-პლიმუთი) 5 (2); ოთაგო და ველინგთონი 5 (3); საუსლენდი 4 (2); ჩრდ. ნავსაყუდელი 2 (3)

### სამხრეთი აფრიკის ქარრის თასი

ლიდერთა მატჩები: ჩრდ. ტრანსვაალი (პრეტორია) 19 (16) (ლ) — ჰაუტენჰის ლომები (იოჰანესბურგი) 15 (6); ნატალი (დურბანი) 23 (16) (2ლ) — ნარინჯი (ბლუმფონტეინი) 11 (3) (ლ); ...

მონაგარი: ნატალი 36 (8); დას. კონცხი (ქეიფთაუნი) 34 (8); გრიკვალენდი (ქიმბერლი) 29 (9); ლომები 25 (7); ნარინჯი 24 (7); სამხრ. დას. ოლქები 24 (8); ბოლანდი 22 (8); ჩრდ. ტრანსვაალი 16 (7); ... სულ თითო გუნდს 13 მატჩი აქვს გასამართი

საქართველოს პირველობა შაბათს, 6 სექტემბერს განახლდება. ამისთვის რაგბის კავშირის ოფისში დღეს, 14 საათსა და 30 წუთზე გაიმართება მონაწილე კლუბების დესპანთა თათბირი



### ამიერიდან უდევისოდ

34 წლის უელსელმა ჯადოქარმა ჯონათან დევისმა, თავი ჯერ რაგბში, შემდეგ ლიგაშიც რომ ისახელა, სიბერეში კი ისევ რაგბში დაბრუნდა, შაბათს განაცხადა, რომ თამაშს თავს ანებებს და მომავალი სამი წლის მანძილზე ბი-ბი-სის სარაგბო და სალიგო მიმოხილვების წამყვანად იღვაწებს.

ჯონათანმა რაგბში 35 კეპი მოიხვეჭა, ლიგაში — 13. პირველგან სამ კლუბში ითამაშა, მეორეგან — ორში. უჯონათანოდ „წითელმა ურჩხულებმა" შაბათს გაანადგურეს რუმინეთი, ვინაც წინა საერთაშორისო მატჩი 1 ივნისს შინ, ბუქარესტში გამართა და საფრანგეთთან სასტიკად 20 (2ლ) : 51 (9ლ) დამარცხდა.

30. 08. რექსემი. უელსი 70 (39) (11ლ: ბეითმენი 2, ლ. დევისი 2, ა. თომასი 2, ჯონი, მორგანი, ვოქერი, ბ. ვილიამსი, ს. ვილიამსი; ნგ: ა. თომასი 5, ჯარვისი; ს: ა. თომასი) — რუმინეთი 21 (6) (2ლ: დრაგუჩანუ, როტარუ; გ და ჰს: გურანესკუ)

## მოტოციკლი

# დუენი აგოსტინის გაუტოლდა

## კრივიე დაბრუნდა, როსი კი ჩემპიონია

32 წლის ავსტრალიელმა მიკ დუენმა წელს მე-11 დიდი პრიზიც მოიგო. ამით იგი გაუსწორდა ლეგენდარულ იტალიელ ჯაკომო აგოსტინის, ვინაც 1972 წელს ამდენსავე ეტაპზე გაიმარჯვა. დუენს ახლა კიდევ სამი სტარტი რჩება საზიარო რეკორდის გასაუმჯობესებლად.

ჩეხეთში დაბრუნდა ესპანელი კრივიე, ვინაც ერთადერთია, წელს დუენი რომ დაამარცხა, მაგრამ მერე ჰოლანდიაში მძიმედ დაშავდა და ხუთი ეტაპი გაუცდა. ალექსმა პარასკევის კვალიფიკაციაში მე-18 ადგილი დაიჭირა, შაბათისაში — უკვე მე-7, რბოლის შემდეგ კი კინაღამ კვარცხლბეკზეც ავიდა.

დუენმა ორივე კვალიფიკაციაში გაიმარჯვა, თუმცა კი შაბათს სულ ბოლოსღა გაახერხა სამი სწრაფი წრე. სტარტიდანაც ერთთავად წინ იყო, მაგრამ ფინიშამდე 8 წრე რომ რჩებოდა, თანაგუნდელმა ოკადამ გაუსწრო. როგორც ავსტრალიელმა ნაფინიშევს ბრძანა, ლიდერს დავუდარაჯდი და შეცდომა რომ მოუვიდა, უმალ ისევ დავწინაურდიო. მერე იაპონელმა ერთიც გაიფაფხურა და ტრასიდან საერთოდ გავარდა.

„250" კლასში ვითარება დაიძაბა. გიუმაუმა ბიაჯიმ გაიმარჯვა და ჰარადასა და ვალდმანს ქულებით წამოეწია. მაქსი ზედიზედ მეოთხედ რომ ვეღარც გახდეს ჩემპიონი, გაისად „500"-ში მოუწევს გადასვლა, რადგან 18 წლის როსიმ, ვისაც „125"-ის ჩემპიონობისთვის III ადგილიც ეყოფოდა, გაუმართავი მანქანით ამოცანა მაინც შეასრულა და გაისად „250"-ში აპირებს აბარგებას.



ქომაგებმა როსის ერთხელ გასაბერი ქალი მიართვეს, ახლა კი ზორბა ერთიანი აკიდეს

აპ ბრნოდან

მსოფლიო პირველობის XII ეტაპი

### ჩეხეთის დიდი პრიზი

29-31. 08. ბრნო. მასარიკის სახელობის ტრეკი

**125 კუბ. სმ**

1. ნობორუ უედა (იაპონია, ჰონდა) 42 წუთი. 13,666 წამი (საშუალო სიჩქარე 145,861 კმ-სთ); 2. ტომომი მანაკო (იაპონია, ჰონდა) 42.13,836; 3. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) 42.13,994; ... უსწრაფესი წრე: უედა (147,724 კმ-სთ)

საჩემპიონატო მონაგარი: როსი 261 ქულა; უედა 184; მანაკო 152

**250 კუბ. სმ**

1. მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა) 42.06,724 (153,960 კმ-სთ); 2. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, ჰონდა) 42.07,238; 3. ტეცუია ჰარადა (იაპონია, აპრილია) 42.16,716; 4. რალფ ვალდმანი (გერმანია, ჰონდა) 42.19,877; 5. ტოჰრუ უკავა (იაპონია, ჰონდა) 42.38,500; ... უსწრაფესი: ვალდმანი (155,118 კმ-სთ)

მონაგარი: ჰარადა 198; ვალდმანი 189; ბიაჯი 185; ჟაკი 159; უკავა 129

**500 კუბ. სმ**

1. მაიქლ დუენი (ავსტრალია, ჰონდა) 45.25,012 (157,033 კმ-სთ); 2. ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა) 45.39,870; 3. ნობუაცუ აოკი (იაპონია, ჰონდა) 45.40,122; 4. ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰონდა) 45.40,335; 5. ნორიფუმი აბე (იაპონია, იამაჰა) 45.40,660; 6. ტაკუმა აოკი (იაპონია, ჰონდა) 45.41,858; 7. რეჟი ლაკონი (საფრანგეთი, ჰონდა) 46.13,790; 8. ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა) 46.13,957; ...

სასტარტო განლაგება: დუენი, კადალორა, ჟან-მიშელ ბეილი (საფრანგეთი, მოდენაზი), დარელ ბითი (ავსტრალია, სუძუკი); ... უსწრაფესი: დუენი (158,704 კმ-სთ)

მონაგარი: დუენი 295; ნ. აოკი 155; ტადაიუკი ოკადა (იაპონია, ჰონდა) 149; კადალორა 116; კრივიე 115; ტ. აოკი 96; აბე 95; ბარუში 93

პირველობის შემდეგი ეტაპი — კატალონიის დიდი პრიზი 12-14 სექტემბერს, ბარსელონაში გაიმართება

## კრივი

# იტყვის კინგი

ხვალ ბობოლა მენეჯერი დონ კინგი პრეზენტაციას [illegible]: [illegible], რომ [illegible] — ვბა-სა და იბფ-ის შემაჯერებელი საჩემპიონო შერკინება ამა წლის 8 ნოემბერს გაიმართება ლას-ვეგასში, ოღონდაც არა „ემ-ჯი-ემ გრენდში" ანაც „სიზორზ პელისში", არამედ „მირაჟ რისორთში". ერთურთს შეერკინებიან ხსენებული ორი ორგანიზაციის მძიმეწონოსანი ჩემპიონები — ევანდერ ჰოლიფილდი (ვბა) და მაიქლ მორერი (იბფ).

მეტოქენი ერთხელ აქამდეც შებმიან ერთმანეთს: 1994 წლის 22 აპრილს, ლას-ვეგასშივე. მაშინ ქულებით მორერმა მოიგო, მაგრამ მერე გაილახა ბებერ ჯორჯ ფორმენისგან, ვინაც ვბა-სა და იბფ-ის სარტყლები მერე და მერე მიმოფანტა. ესენი ახლა ამად გამხდარა შესაჯერებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



58 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ხელბურთელი, თბილისის „ბურევესტნიკის" პირველი, „ოქროს თაობის" წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის 1962 და 1964 წლების ჩემპიონი

ლერი კარტოზია

„სარბიელი" სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დიდად წუხს ცნობილი ქართველი მწერლისა და სპორტის ფრიადი ქომაგის, ბატონ

გურამ ფანჯიკიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

## რალი

# შინ ვის გაახარებდნენ

ფინეთის რალს აქამდე „1000 ტბისა" ერქვა. 1994 წლიდან მოყოლებული მას ერთთავად მასპინძელი მაკინენი იგებს. ერთი და იმავე რალის ზედიზედ მეოთხედ მოგებით შარშანდელი ჩემპიონი და წლევანდელი პირველობის ლიდერი გაუტოლდა შეხარ მეჰტას, ვინაც კენიურ „საფარში" 1979-82 წლებში გაიმარჯვა.

მაკინენი თავიდანვე ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ პირველი დღის შედეგად მისი თანამემამულე მარკუს გრონჰოლმი (ტოიოტა) დაწინაურდა. მისი გუნდი ოფიციალურად სწორედ ამ რალით დაუბრუნდა მსოფლიო პირველობას, თორემ ტურბო-ძრავის ხმარების გამო ორი წლით იყო დისკვალიფიცირებული.

ამ დღეს მაკინენის მთავარმა კონკურენტმა — ესპანელმა საინსმა მეორე ადგილი დაიჭირა, მაგრამ ბოლო საკონტროლო პუნქტში განგებ დააგვიანა, რათა დაეჯარიმებინათ და მეორე დღეს სტარტზე მეექვსე გასულიყო. საინსი ასე ფიქრობდა, მოწინავეთა მიერ გაკვალულ ქვალორლიან გზებზე უკეთ ვიგრიალებო.

კარლოსი მართლაც წინ გაიჭრა, მაგრამ მერე მაკინენმა აიწყვიტა და დღის ბოლოს ესპანელს უკვე ორ წამს უგებდა. აი, „სუბარუს" ორივე ეკიპაჟს კი ძრავმა უმტყუნა და გავარდა: მაკრეისა — V ეტაპზე, ერიქსონისა — XII-ზე.

ბოლო დღეს მაკინენმა ტემპს უმატა და უმატა, საინსი და გრონჰოლმი კი XX ეტაპზე გაცვივდნენ. პირველი მექანიკამ დაალალატა, მეორე — საწვავის წნევამ. ამის მერე ისე გამოვიდა, რომ ოთხი უკეთესი ადგილი ფინელებმა დაიჭირეს, მაკინენი კი უახლოეს მდევარს უკვე 18 ქულას უგებს. და ეს მაშინ, როცა პირველობის ბოლომდე ოთხი რალიღა რჩება.

შემდეგი რალი — ინდონეზიისა 17-21 სექტემბერსაა.

თენგიზ არტამონოვი

### მსოფლიო პირველობის X რალი – ფინეთისა

29-31. 08. იუვიასკიულიას შემოგარენი

22 სპეც-ეტაპი (381 კმ): 1. თომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) 3 საათი: 16 წუთი. 18 წამი; 2. იუჰა კანკუნენი (ფინეთი, ფორდი) 3:16.25; 3. იარმო კიუტოლეჰტო (ფინეთი, ფორდი) 3:18.18; 4. სებასტიენ ლინდჰოლმი (ფინეთი, ფორდი) 3:18.53; 5. თომას იანსონი (შვედეთი, ტოიოტა) 3:2?.12; 6. პასი ჰანგსტრიომი (ფინეთი, ტოიოტა) 3:22.48; 7. უვე ნიტელი (გერმანია, მიცუბიში) 3:25.15; 8. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, ტოიოტა) 3:26.57

საჩემპიონატო მონაგარი. პირადი: მაკინენი 52 ქულა; კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 34; ქოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, სუბარუ) 32; კენეთ ერიქსონი (შვედეთი, სუბარუ) 24; პიერო ლიატი (იტალია, სუბარუ) 18; კანკუნენი 16; ... გუნდური: სუბარუ 74; მიცუბიში 66; ფორდი 61

## ველორბოლა

# ფრანგთა ყოჩობა და კვირის ფათერაკები

პერთის (დას. ავსტრალია) მსოფლიო პირველობის მასპინძლებმა ბოლო დღეს თავი შეირცხვინეს: ერთი, რომ ვაჟთა ქულობანას დროს ტაბლოზე გვარიანად აერიათ ოპერატიული ინფორმაცია. ამ სახეობაში მონაწილეებს 20 საშუალედო ფინიში უწევდათ და აღარ იცოდნენ, ტაქტიკური ბრძოლა როგორ წარემართათ. მხოლოდ ფინიშის შემდეგღა შეიტყო ორგზის ჩემპიონმა რიზომ, რომ შარშანდელი გამარჯვებული იანერასისთვის ერთი კინკილა ქულით ეჯობნა.

მეორე გაუგებრობა ჩვენი თანამემამულის, 62 წლის მირონ ბარამიას გამო მოხდა. ბატონი მირონი ბარემ ათი წელია, რაც უცხოეთში სახლობს და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირში (უსი) მეტრეკეებს კურატორობს.

ხუთშაბათს პერთში მყოფ ბარამიას ინფარქტმა დაკრა და საავადმყოფოში მოხვდა. კვირას იქედან მცდარი ამბავი მოვიდა „მიდვეილ დოუმის" ტრეკზე, კომისარი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალაო. ჰოდა, თითქოს პრინცესა დაიანას გამო გამოცხადებული წუთიერი დუმილი არ კმაროდა, მასპინძლებმა მაყურებელი ბარამიას გამოც წამოაყენეს. მერე უსი-ს დიდ-მოხელეებმა სიმართლე დაადგინეს და ბოდიშიც საჯაროდ მოიხადეს. რაც შეეხება ბატონ მირონს, ვისაც თავს ადგანან მეუღლე ლარისა და ქალიშვილი მარინა, იგი კვლავაც ერთობ მძიმე დღეში ყოფილა.

სხვაფრივ, ჩემპიონატი კარგი გამოვიდა. ფრანგებმა ოქროს მედლების ზუსტად ნახევარი დახვეტეს. განსაკუთრებით ისახელა თავი 26 წლის ვანდეელმა ბალანჟემ, ვინაც ზედიზედ მესამე წელია, გასწრებასა და ჩაუქობაში დუბლს ახერხებს, თუმცა კი 20 წლის ავსტრალიელი ფერისის სახით 2000 წლის ოლიმპიადაზე სერიოზული მეტოქე ელის.

დიდი დრამა, უფრო კი ტრაგედია დატრიალდა ვაჟთა გუნდური დევნის ფინალში. ბოლო კილომეტრი რომ დაიწყო, უკრაინა წამ-ნახევარს უგებდა იტალიას, მაგრამ ამ დროს ფედენკო დაეცა და სიმონენკო და მატვეევი ჩაითრია. უკრაინელები მძიმე ტრავმას გადაურჩნენ, მაგრამ შეჯიბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ისე კი, მარცხი ასიოდე მეტრის წინ ანუ ბოლო კილომეტრამდე რომ შემთხვეოდათ, წესების თანახმად რბოლა თავიდან გაიმართებოდა.

ბოლოს ვაჟთა სპრინტის ახალი მეფის — 23 წლის რუსოსიცა ვთქვათ. ავსტრალიელ ქელის ატლანტის ოლიმპიადაზე მარცხი რომ შეემთხვა, ჩაუქობა რუსომ მოიგო, მას აქეთ კი ოდენ გასწრებაში ხელოვანდება.

მიხო ნინუა



სპრინტის მეფენი — ზემოთ რუსო (გასწრებაში) და შეინ ქელი (ავსტრალია; ჩაუქობაში), ქვემოთ კი — ბალანჟე მსოფლიო პირველობის მედლებს კოცნიან

როიტერი და აპ პერთიდან



| მედლები | ო | ვ | ბ |
| --- | --- | --- | --- |
| საფრანგეთი | 6 | 0 | 2 |
| იტალია | 2 | 1 | 1 |
| გერმანია | 1 | 3 | 1 |
| ავსტრალია | 1 | 2 | 2 |
| რუსეთი | 1 | 2 | 1 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 1 |

სამხრეთი აფრიკა, უკრაინა და შვეიცარია — თითო ვერცხლი; აშშ, მექსიკა, არგენტინა და ბრიტანეთი — თითო ბრინჯაო

29. 08. ქალთა გასწრება (სპრინტი): 1. ფელისია ბალანჟე (საფრანგეთი) — 2. მიშელ ფერისი (ავსტრალია) 2:1; 3. ოქსანა გრიშინა (რუსეთი) — 4. მაგალი ფორე (საფრანგეთი) 2:1

ქალთა 24 კმ ქულობანა: 1. ნატალია ქარიმოვა (რუსეთი) 29; 2. სანჩონ რუანო (ესპანეთი) 20; 3. ბელენ გერერო (მექსიკა) 11; 4. ანტონელა ბელუტი (იტალია) წრე და 20; 5. ინგრიდ ჰარინგა (ჰოლანდია) წრე და 16

30. 08. ქალთა 500 მ ჩაუქობა: 1. ბალანჟე 34,681 წმ (50,393 კმ-სთ); 2. ფერისი 35,719; 3. ფორე 35,898

4 კმ გუნდური დევნა: 1. იტალია (ანდრეა კაპელი, კრისტიანო ჩიტონი, ანდრეა კოლინელი, მარიო ბენეტონი) 4.10,225 — 2. უკრაინა (ალექსანდრ კლიმენკო, ალექსანდრ ფედენკო, სერგეი მატვეევი, ალექსანდრ სიმონენკო) ვერ დაასრულა; 3. საფრანგეთი 4.07,88; 4. აშშ 4.09,98

31. 08. 40 კმ ქულობანა: 1. სილვიო მარტინელო (იტალია) 37; 2. ბრუნო რიზო (შვეიცარია) 16; 3. ხუან იანერასი (ესპანეთი) 15; 4. ფილიპ ერმენო (საფრანგეთი) 13; 5. გაბრიელ კურუჩეტი (არგენტინა) 12

ქალთა 3 კმ დევნა: 1. იუდით არნდტი (გერმანია) 3.38,730 — 2. ქარიმოვა 3.40,090; 3. ივონ მაკგრეგორი (ბრიტანეთი) 3.38,526; 4. ლუსი თაილერ-შარმანი (ავსტრალია) 3.40,006

გასწრება: 1. ფლორიან რუსო (საფრანგეთი) — 2. იენს ფიდლერი (გერმანია) 2:0; 3. დარენ ჰილი (ავსტრალია) — 4. აიკ პოკორნი (გერმანია) 2:0


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29